№ 2724
ოთხშაბათი
12 იანვარი

ცნობის ფურცელი

№ 2724
ოთხშაბათი
12 იანვარი

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კამპ. განცხადებათა კონტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს; ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

შაბათს, 15 იანვარს, სოფელ მღაროში, კარის ეკლესიაში, გადახდილ იქმნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი

თადეოზ დავითის ძის ნაცვლიშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მეუღლე გარდაცვალებულისა **მელანია რევაზის ასული ნაცვლიშვილისა და დანი ელისაბედ დავითის ასული ნატროშვილისა, ალექსანდრა დავითის ასული ნაცვლიშვილის მეუღლე, ანასტასია და მარიამ დავითის ასულნი ნაცვლიშვილისანი და ბარბარე დავითის ასული კნ. ვაჩნაძისა.** წირვა დაიწყება დილის 10 საათზე, პანაშვიდი—12 საათზე. (2—13—1)

სოფ. მეჯვრისხევში (გორის მაზრა) გარდაიცვალა იანვრის 9-ს

თავადი გიორგი დიმიტრის ძე ერისთავი

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მეუღლე მისი **კნეინა ელისაბედ ზაალის ასული შვილებითურთ.** გამოსვენება და დაკრძალვა იქნება სოფ. მეჯვრისხევში წმინ. გიორგის ეკლესიაში ხუთშაბათს, იანვრის 13-ს.

სოფელს მანდიკორში, 9 იანვარს, გარდაიცვალა

მღვდელი არჩილ იოსების ძე მხეიძე

რასაც ნათესავთა და ნაცნობთ აუწყებენ გარდაცვალებულის **მეუღლე და შვილები კონდრატი და ნოე მხეიძეები.** (1 15—1).

ქართული წარმოდგენა. სახაზინო თეატრი. (აბონემენტის გარეშე)

ხუთშაბათს, 13 იანვარს **ბენეფისი** ნ. მ. გაბუნია-ცაგარლისა. ქართულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება **ახალი პიესა**

I
ჩვენი ნაცნობები
სცენები 1 მოქ. თხზ. კ. დოდაშვილისა.

II
ცოლი-უღლის მწეველი
დრამა 4 მოქმ. და 5 სურათ. გადმოკ. ა. ყაზბეგის-მიერ.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. **დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

სეზონის ბილეთები ამ წარმოდგენისთვის გაუქმებულია. მორიგი რეჟისორი: **ვ. აბაშიძე.**

მზადდება „რუი ბლაზი", „მეზობლები", „ქრიჭინა", „სამშობლოს ბურჯი" და სხვა.

სახაზინო თეატრი. ანტრეპრიზა საიმპერ. თეატრის არტ. ლ. დ. დონსკოისა.

ოთხშაბათს, 12 იანვარს, 1905 წელს სტუდენტთა დამხმარებელ საზოგადოების სასარგებლოდ წარმოდგენილი იქნება: **„კარმენი"** ოპერა 4 მოქ. მუსიკა ბიზესი.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: დონსკაია, ორელი, ნიკიტსკაია, ხარიტონოვა; და სხ.; ბ-ნნი: ბოგდანოვიჩი. დონსკოი, სიკაჩინსკი, ობრაზცოვი, დემიანენკო, მურატოვი.

კაპელმეისტერი მიკლაშევსკი. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

13 იანვარს ქართული წარმოდგენა, ბენეფისი გაბუნია-ცაგარლისა. გამგე ი. ა. გეცევიჩი.

ყოველ კვირეული ჟურნალი

მოგზაური

(წელიწადი მეხუთე—პირველი)

გამოვა 1905 წელს 16 იანვრიდან ვრცელი პროგრამით

ჟურნალში მონაწილეობას მიიღებენ: ფილ. მახარაძე, ივ. გომართელი, ნ. ელიავა, ი. ევდოშვილი, ი. კვიცარიძე, ნ. კალანდაძე, ლალიონი, გ. მარმალაძე, ყვირილელი, კ. ჯაფარიძე. ა. წულუკიძე, გ. წულუკიძე და სხვები.

ჟურნალის ფასი გაგზავნით რუსეთის ქალაქებში:

ერთი წლით—5 მან., ნახევარი წლით—3 მან., ცალკე ნომერი—სამი შაური. წლიური ფასის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება. ხელის მოწერა მიიღება ტფილისში: „მოგზაურის" რედაქციაში (რეუტოვის ქუჩა № 21) და წერა-კითხვის საზ. მაღაზიაში შიო ქუჩუკაშვილთან, ქუთაისში—ის. კვიცარიძესთან, ჭიათურაში—ირ. დეკანოზიშვილთან, სამტრედიაში ყარამან ნანეიშვილთან, ხონში ექიმ კიკალიშვილთან. რედაქცია იმყოფება რეუტოვის ქუჩაზე სახლი 21. ფოსტის ადრესი: Тифлисъ редакція „МОГЗАУРИ" რედაქტორ-გამომცემელი **ი. პ. როსტომაშვილი** (შ. 3—1)

ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის

გამგეობის თავმჯდომარე, თანახმად 4 ივლისის 1901 წლის კანონისა და ფინანსთა მინისტრის ნება-რთვით, უმორჩილესად სთხოვს ხსენებულ ბანკის რწმუნებულთ მობრძანდნენ ქ. ქუთაის, 13 თებერვალს მდგომარე წელს, **საგანგებო კრებაზე** შემდეგი კითხვების განსახილველად და გადასაწყვეტად:

1) ზედამხედველ კომიტეტის ახალი წევრების არჩევა.
2) ორი ახალი წევრის მიმატება დამფასებელ კომისიისათვის.
3) ფინანსთა მინისტრის წინაშე შუამდგომლობის აღძვრა ბანკის წესდების ზოგიერთ მუხლების შეცვლისა.
4) და სხვა-და-სხვა კითხვები ბანკის საქმეების შესახებ. რწმუნებულთა **კრება კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.**

იმ პირთ, რომელნიც მოისურვებენ დაწვრილებით გაეცნონ კრების განსახილველ პროგრამის შინაარსს, თავმჯდომარე სთხოვს პირადათ მას მიმართონ ბანკში, ერთი კვირით ადრე კრების დაწყებამდის. (ნ. 3—1)

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ბ. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა. 9½—10½ ს.

მ. გ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. ყოველ დღე გარდა კვირისა. 10—11 საათ.

ლ. ი. კიმონტი.—ხირურგია 11½—12½ კვირაობით, სამშაბ. და ხუთშაბათ.

ა. ნ. დიასამიძე.—ვენერიული და კანისა 12½—1½ საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ექ. ქალი მ. კ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

პ. ა. ბეიერი.—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ.

ლ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშვებისა, (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით. 1—2 საათამდე.

ვ. ს. მუსხელიშვილი.—თვალისა—2—3 ს. ყოველ დღე გარდა სამშაბ. და კვირისა.

გრ. ვ. სოგოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკეობით 1—2 საათამდე.

საღამოთი:

გ. გ. სოგოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია სამშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.

ტ. ს. დავიდოვი.—შინაგანი და ბავშვებისა ყოველ დღე გარდა კვირისა.—5—6 საათ.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., საავადმყოფოს აქვს ოცი საწოლი. სამკურნალოში ოპერაციები მორიგებით. კრავატები დღეში ღირს სამი მან. საზოგადო და ნომერი—5 მან.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

ტელეფონი № 274.

კბილის ექიმი

ი. ზ. კანდელაკი

იღებს ყოველ გვარ კბილის სნეულებით ავადმყოფებს: სწამლობს კბილებს, უკეთებს პლომბებს და უსხამს ახალ კბილებს ყოველგვარ მეთოდზე. მიიღებს 9—2 ს. და 4—7 საათ. მიხეილის პროსპექტი, № 20. მანველოვის სახლში. (30—399—29)

[illegible]ისში
ექიმი
[illegible] ქინაშვილი

გადავიდა [illegible] ქუჩაზე წმ. ნინოს ქალების გიმნაზიის პირდაპირ. იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათ. და საღამოს 5—8 საათამდე. (30—0198—8)

ექიმი

ი. ა. გოკიელოვი

მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, ვენერიულის, კანის, შიგნეულის და ნერვების. მიხაილოვის ქ. № 149. საკ. სახლი. დილის 9—12 საათ. და საღამოს 5—8 საათამდე.

კბილებს

ვიღებ, პლომბს ვუკეთებ, ვასუფთავებ, ვუსვამ ახალ ხელოვნურ კბილებს და ვაშორებ ცუდ სუნს. გ. მ. იოხველი. მიხეილის ქუჩა № 108. გერმანელთა ტაძრის პირდაპირ. ხელ-მოკლეებს იაფად. (30—417—12)

ქ. ბათუმში

ექიმი ა. გ. მაღალაშვილი

მიიღებს შინაგანის და ბავშვების სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—10 საათამდის. ტფილისის და ვლადიკავკავის ქუჩების კუთხეში. კომერციულ ბანკის სახლი. (60—403—19)

ქ. ბათუმში

ექიმი ს. ი. ბეგიშვილი

იღებს ავადმყოფებს (შინაგანი, ვენერიული და საბებიო) დილის 9—12 საათ. საღ. 4—6, სმეკალოვის ქუჩა, ვარძელოვის სახლი. (30—0101—13).

ექიმი

ა. ნ. თეთრაძე

სუდებნაია, სახლი № 24. აფთიაქის თავზე. იღებს შინაგან, ნერვების და ბავშვების ავადმყოფებს საღამოს 5—8 საათამდე. მიკროსკოპით სინჯავს ნახველს, შარდს, სისხლს და სხვ. (37—636—39)

კბილის ექიმი

ალ. ხოლოღაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 საათამდე და 5—7-მდე. კვირაობით 12 საათამდე. გოლოვინის პროსპ. სახლი დიდნისა № 12 „კრუჟოკის" გვერდით. (ნ.—19)

ექიმი

პ. ა. არდაზიანი

მიიღებს ბავშვების და შინაგან სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე 9—10. და საღამოთი 6—6½ საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 160. და დიდუბეში, სამოქალაქო საავადმყ. პირდაპირ თუთაევის სახლი. საღამოს 7—8. (30—19)

ექიმი

გ. ა. გედალინი

მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, ვენერიულის კანის და საშარდის, ყოველ დღე საღამოს 5—8 საათამდე.

გადავიდა მადათოვის ქ., ალექსანდროვის სამლოცველოს პირდაპირ. სახლი მარტიროსიანცის № 15. (30—19)

კბილის ექიმი

ივანე პ. ახალშენიშვილი

გადავიდა: ნიკოლოოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-მდი!.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"

10 იანვარი

პეტერბურგი. უქვეშევრდომილესი დეპეშა გენერალ-ადიუტანტის კუროპატკინისა მათი იმპერატორებითის უდიდებულესობის სახელობაზე 9 იანვრიდან 1905 წლისა: „ჩემის მოხსენების დასამატებლად უქვეშევრდომილესად მოგახსენებთ გენერალ-ადიუტანტის მიშჩენკოს ცხენოსან რაზმის დაწვრილებითი ამბავს: 28 დეკემბერს მტრის როტა ნახევრის ჯარის იერიში სოფელ უცზიატას ახლოს მოხდა ჩვენის მოხალისეთა და ცხენოსან ყაზახების ფრონტიდან გალაშქრებით, რომელნიც მტერს მიესიენ წინიდან და ზურგიდან, იაპონელებმა თავს უშველეს და სოფლის შუა ადგილას ხაშინის ქარხანა დაიჭირეს. ყაზახები დაქვეითდნენ და პოდესაულის ნეკრასოვის უფროსობით ზედ ქარხნის კედლებს მიადგნენ. აქ პოდესაული ნეკრასოვი ჯერ თავში დასჭრეს ხიშტით და მერე თოფის ორი ტყვიით მოკლულ იქმნა. აქვე მოჰკლეს ფრანგი აფიცერი ლეიტენანტი ბარტენი. იაპონელთა გასარეკად ჩვენი ზარბაზნებიდან დაიწყეთ სროლა 400 ნაბიჯის მანძილზე. იაპონელები გაიქცნენ, მაგრამ თითქმის ყველანი ავჩეხეთ, დავხვრიტეთ და ტყვედ წამოვიყვანეთ. ამ ბრძოლაში ჩვენ მოგვიკლეს 2 აფიცერი და 7 ჯარის კაცი; დაგვიჭრეს 7 აფიცერი და 33 ჯარის კაცი.

ინკოუს სადგურზე იერიშის მიტანის წინეთ 30 დეკემბერს იქ მივიდა ტაშიჩაოს სადგურიდან მატარებელი 16 პლატფორმით, რომლებზედაც ისხდა იაპონელთა ქვეითა ჯარი. ამ მატარებელს ჯერ კავკასიელ მოხალისეებმა დაუწყეს სროლა, რომელნიც იცავდნენ მარცხენა ფრთას ჩვენი ჯარისას და ამათ შემდეგ ზარბაზნებიდანაც დაუწყეთ სროლა. რკინის გზის მატარებელი, როცა უკანვე ბრუნდებოდა, ჩვენ მიერ გაფუჭებულ ლიანდაგის გამო დაიღუპა. ინკოუზე თავდასხმის დროს ჩვენი ჯარის სრული გამარჯვებას ხელი შეუშალა ხელოვნურად გაყვანილმა თხრილებმა და ამოთხრილმა ორმოებმა და ამასთანავე გაბმულმა ეკლიანმა მავთულებმა. გენერალ-ადიუტანტის მიშჩენკოს მოხსენებით ამ იერიშის დროს ყველაზედ ძრიელ თავი ისახელა გვარდიის არტილერიის კაპიტანმა ბარონმა მაიდელმა. ამ აფიცერმა უკანასკნელმა დაანება თავი ბრძოლის ველს და ამასთანავე პირად თითონ გამოიტანა ბრძოლიდან დაჭრილი ყაზახი. ახალ წლის ღამეს მიღებულ იყო მოხსენება, რომ ერთი სოფელი, რომელიც მდებარეობდა ოთხი ვერსის მანძილზე ჩვენი ჯარის ბინიდან ჩრდილოეთით, იაპონელებმა დაიჭირესო და ერთი მტრის ძლიერი კოლონაც აქეთვე მიიწევს ხიუ-ჩუანიდანაო. დილა ადრიან ჩვენ კოლონას ებძანა მიჰყოლოდა ჩრდილო-დასავლეთით, ხოლო ამ კოლონის მოძრაობის საფარად დანიშნულ იყვნენ ყაზახების რაზმები. ნიუჩუანიდან მოსულ იაპონელთა ჯარის კოლონამ საომრად გაშალა ორი ბატალიონი და ზარბაზნებიდან სროლა ასტეხა. ჩვენმა დაქვეითებულმა ყაზახობამ და ჩვენი ორი ზარბაზნის მარჯვე სროლამ მტერს დიდი ზარალი მიაყენა და უკუ აქცია. ამავე დროს ყაზახთა მეორე რაზმმა მიატანა სოფელს, რომელიც იაპონელებს ეჭირათ და სროლა დაუწყეს 1200 ნაბიჯის მანძილზე იაპონელებს, რომელთაც გასავალში მოეყარათ თავი. ამავე კოლონას მტრისას სხვა ჩვენმა არტილერიამ სროლა დაუწყო გვერდიდან. მტრის კოლონის თავი ჯარი, რომელიც სოფლიდან ადრევე გავიდა, ჩვენმა ცხენოსანმა რაზმმა პოდესაულ კონკოვის უფროსობით იერიშის დროს სულ მთლად აჩეხა. თითონ კონკოვიც ხიშტით დასჭრეს გვერდში. მთელ ამ საქმეში ცხენოსან რაზმში მოგვიკლეს 7 აფიცერი და 73 ჯარის კაცი, დაგვიჭრეს 32 აფიცერი და 237 ჯარის კაცი; დაიკარგა 21 ჯარის კაცი. ცხენ[illegible] მოგვიკლეს 69, დაგვიჭრეს 75. ზურგიდან მტერს დიდი თავზარი დავეცით. ამას ყოველივეს უქვეშევრდომილესად მოვახსენებ თქვენს იმპერატორებითი უდიდებულესობას".

11 იანვარი

ვლადივოსტოკი. 10 იანვარს. ვლადივოსტოკში ყველაფერი სამყოფად გვაქვს. მიუხედავათ პორტო-ფრანკოსი ვაჭრები ყოველ დღე უმატებენ ფასებს და თავს იმითი იმართლებენ, რომ საქონელი ფოსტით მოგვდისო. აღმოსავლეთის ინსტიტუტი და ვაჟთა გიმნაზია დაიკეტა. ქალაქის საზღვაო კლასსები ღია დასტოვეს. ინსტიტუტის მოწაფენი სულ მთლად უნდათ გადაიყვანონ ვერხნეუდინსკში, ან იქნება ირკუტსკში. გიმნაზიის მოწაფეთ წინადადება მისცეს სურვილისამებრ აარჩიონ რომელი გიმნაზიაც უნდათ. მეტი ნაწილი ნერჩინსკის გიმნაზიას რჩეობს. მოწაფეებს სახელმწიფო ხარჯით წაიყვანენ. შუადღისას მზეზე 3 გრადუსი სითბოა.

ტოკიო. 9 იანვარი. მდ. შახეს ნაპირებიდან მოსულ ტელეგრამებში მოხსენებულია, რომ რუსები ამ უკანასკნელ დროს ჰაეროსტატებს უშვებენ. ერთი ჰაეროსტატი შემჩნეულ იყო 7 იანვარს შუადღისას. ჰაეროსტატი ავიდა ჰაერში ხუანშანის ახლოს, ერთ ბატალიონ რუსის ქვეითა ჯარს და მთავარ შტაბის აფიცრებს, რომელნიც ჰაეროსტატის ქვეშ იდგნენ, იაპონელთა არტილერიამ წამსვე სროლა დაუწყო. ამბავი მოდის, რომ ორივე მხარე ჯარის მომატებისათანავე აგრძელებს თავის წინა პოზიციებს—სხვა ყველაფერი უცვლელად არის.

ამბობენ, რომ ტოგო და კამიმურა 10 იანვარს მიდიან ტოკიოდან ფლოტთან შესაერთებლად. თუმცა რუსები ირწმუნებიან, რომ პორტ-არტურში ჩაძირულ სამხედრო გემების ამოღება ხარჯად და წვალებად არა ღირსო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, აქ საქმის კარგად მცოდნე წრე ჰფიქრობს, რომ ზოგი გემი შეიძლება ძლიერ რიგიანად შეკეთდეს და არც დიდ ხარჯს მოითხოვსო.

სეული, 9 იანვარი. ნეგატას პროექტი ფულის რეფორმის საქმის შესახებ კორეის იმპერატორის მიერ მოწონებულ იქმნა. ნიკელის ლითონიდან მოჭრილი ფული უნდა ალკვეთონ და მათ მაგიერ უნდა იხმარონ ახლად მოჭრილი ფული იაპონელების ფულის მსგავსი. ეს იმას ნიშნავს, რომ ოქროს ფულს შემოიღებენ და იაპონელთა ფულიც ხმარებაში შევა კორეაში ამ რეფორმის სისრულეში მოსაყვანად იაპონია უეჭველია ასესხებს კორეას ხუთ მილიონ იენს.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან"

10 იანვარი

ჩანსიამუტუნი, 9 იანვარი. ღამის 9½ საათზე. აქ ახლა მოთბა. სამხრეთის ძლიერმა ქარმა საშინლად აამტვერა, სულ ქვიშა აქვს ჰაერში. მოხშირებული ერთბაში სროლა საალყე ზარბაზნებისა საშინელ გრიალს იწვევს ჰაერში.

ჩიფუ, 10 იანვარი. პორტ-არტურში 12,000-ზე მეტია დაჭრილი ჯარის-კაცი. სურავანდიანები ძალიან მალე რჩებიან, მეტი წილი განიკურნა კიდეც. ვინც რჩება, წამსვე დალნიში ისტუმრებენ. იაპონელი ექიმები უვლიან დაჭრილებს, საჭმელს კარგს აძლევენ. საზოგადოთ ავადმყოფნი და დაჭრილნი არაფერში ნაკლებულობას არა გრძნობენ. აქამდე იაპონელებს ჯერ თავის დროშა არ აღუმართავთ.

ჩიფუ, 10 იანვარი. ჩვენი აქაური კონსული ოფიციალურად აცხადებს, რომ დღეს გამოვა დალნიდან ჩიფუსკენ სამი გემი 1900 კაცით, რომელთაც ბრძოლაში მონაწილეობა არ მიუღიათ.

დურბანი, 10 იანვარი. ნახშირის გემმა „გაპტონ"-მა, რომელიც აქ მოვიდა წმ. მარიამის სრუტედან, სადაც ნახშირით დააკმაყოფილა რუსის მეორე ესკადრა, ამბავი მოიტანა, რომ ესკადრა 1 იანვარს წავიდა და ის-კი არ იციან—საითკენ. ის ხმა, ვითომ ადმირალის გემი კლდეზე დაიძირაო, სიმართლეს მოკლებულია.

ჩანსიამუტუნი, 10 იანვარი. გუშინდელი ძლიერი ქარი, რომელიც ქვიშასა და მტვერს ურევდა, ახლა თოვლის ქარ-ბუქათ გადაიქცა. ღამე წვიმა მოდიოდა, დილით-კი თოვლი დაიწყო. ღამე ჩაჩუმებული ზარბაზნების ხმა, ჯარის შუაგულს ისევ დაიწყო, 11 საათზე. იანვრის რვას, ჩვენს მარცხენა ფრთის ნაპირს იაპონელებმა მოუსიეს ძლიერი რაზმი ქვეითა და ცხენოსან ჯარისა, რომელთაც დაიჭირეს წრე ნამიხაის და ხუნხეს დასავლეთით. როგორც ამბობენ, მტრის ჯარი ძლიერდება. მტრის ცხენოსან ჯარის პატარა მოწინავე რაზმი ჩვენს რაზმს წააწყდა. 6 კაცი ტყვედ წამოვიყვანეთ, 6 მოვკალით და თავს უშველა მხოლოდ სამმა.

ტოკიო. 10 იანვარი. კამიმურა ჩიმბასში მიდის და იქ შეუერთდება ფლოტს. ამას წინად გამოცხადდა, რომ ვლადივოსტოკის ესკადრა შეკეთდა და შეუძლია ზღვაში გასვლა. ფლოტი ენერგიულად ემზადება მეორე ომისთვის. განვლილ წელში იაპონელებმა ხელში ჩაიგდეს 23 გემი, რომელნიც ცდილობდნენ ალყის გარღვევას. ამათ შორის 13 რუსისაა და შვიდიც ამას წინად ინგლისელებისა ჩაუვარდათ, რომელთაც ნახშირი მიჰქონდათ 25,000 ტონაზე მეტი. პორტ-არტურის ნავთსადგურში შესავლის ამოსაქოლად იაპონელებმა 17 ხომალდი შესწირეს და ამათ გარდა რუსებმა ჩაუღუპეს 9 სავაჭრო ტრანსპორტები.

309 აფიცერი და 17,511 ჯარის კაცი პორტ-არტურიდან მოვიდნენ იაპონიაში. აქამდე მეტი ნაწილი იგზანება ტენგეჩაიდან და ხამეტერადან. (რეიტერი).

ჩანსიამუტუნი. 10 იანვარი. საღამოს არტილერიის სროლა გაჩუმდა. თოვლი ძევს. სასტიკი ქარია და ცივა. იაპონელები ძლიერ ბეჯითად მოქმედებენ. აქ ერთი იაპონელი ტყვე მოიყვანეს ტელინის ახლოს დაჭერილი, რომელსაც გზის აფეთქება ეწადა, ჯიბეში პიროქსილინის პატრონები უპოვეს. ტყვე კითხულობდა, რა სასჯელი მომელის, ხომ არ ჩამომახრჩობთო. ამაზედ უპასუხეს, რომ რადგან ფორმით ხარ, შენ არ დაგსჯავენ, მხოლოდ რუსეთში გაგზავნიანო.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"

10 იანვარი.

ბაქო. ბირჟის კომიტეტმა შუამდგომლობა აღძრა მიწათ მოქმედებისა და ფინანსის მინისტრების წინაშე, რათა სახაზინო ნავთოსანი მიწების იჯარა ნაწილ ნაწილად შეიტანონ. ნა-

ხევარი სამი თვის შემდეგ, ხოლო მეორე ნახევარის შეტანა ექვსი თვით გადიდოს. ეს შეამავლობა მუშათა გაფიცვას მიზეზმა გამოიწვია. ადგილობრივი ბანკების წარმომადგენლები შუამდგომლობენ თავიანთ მმართველობის წინაშე, რომ სავალდ შესატან ფულს ზოგიერთა შეღავათი მისცენ.

(ღამის დეპეშები იხილე ცალკე ფურცელზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

ომის ამბები. ბ. გარინი დეპეშით იუწყება მუკდენიდან: ჩინელები ამბობენ, 19 დეკემბრიდან გენ. ნოგის არმია იაპონელების ცენტრთან მოდისო. სხვათა შორის, 600 ტყვის მტყორცნელიც მოიტანესო. ამბობენ, იაპონელები რუსის არმიის ცენტრის გარღვევას აპირობენო. („რ. ს.“).

„ნიუ-იორკ ჰერალდ“-ის კორესპონდენტი დაწვრილებით ასწერს გენ. მიშჩენკოს თარეშს და უმატებს: ამ თარეშმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ კავალერია ვერას აკლებს გამაგრებულ ქვეითა ჯარსაო. („ნ. ვ.“).

ერთი უცხოელი აფიცერი სწერს გაზ. „ტაიმს“-ში: რუსის სალდათებს მეტად მოჰბეზრდათ ომი და იმის გათავებას ელიან. რუსებს ჯარის რიცხვის იმედი უფრო აქვთ, სინამ სხვა რისამეო. („ბ. ვ.“).

„ნოვოე ვრემია“-ს კორესპონდენტი დეპეშით იუწყება ხუანშანიდან: პუტილოვის გორის აღება აქამდე სწორედ გამოკვლეული არაა. აქამდე ვერ გაიგეს სწორედ, რომელმა პოლკმა აიღო ეს გორა. ამ ბრძოლის გამოკვლევა მთავარ-სარდალმა ცალკე პირს მიანდო.

„რუსკაია ვედომოსტი“-ს კორესპოდენტი სწერს, ეხლანდელი იარაღი დიდ ზარალს აძლევს ჯარსაო. ჯერ კიდევ არ ვიცით სწორედ ჯარის ზარალი, მაგრამ გამოცხადებულ ოფიციალურ ცნობებიდანაც-კი სჩანს, რომ ზოგიერთ ბრძოლის დროს სალდათების ზარალი 60°/o-მდე ადიოდა, ესე იგი 100 კაცში 60 კაცსა ჰკლავდნენ, ან სჭრიდნენ, აფიცრებისა ხომ 80°/o-მდეც ადიოდა. ზოგიერთ დიდ რაზმში მხოლოდ ჯარის 25—30°/o-ღა გადარჩა. თვით არტილერიასაც-კი ეხლა 75°/o-მდე აკლდებოდა, როდესაც წინანდელ ომებში 15—20°/o-ც დიდ ზარალად ითვლებოდაო.

„რუსკია ვედომოსტი“ 1905 წლის სახელმწიფო ხარჯთ-აღრიცხვას იხილავს. გაზეთი სწერს: რუსეთის ფინანსთა მინისტრი თავის მოხსენებაში იუწყება,—აქამდე იაპონიასთან ომი 621 მილიონი მანეთი დაჯდაო. ეს ციფრი მხოლოდ მიმდინარე ხარჯებს შეადგენს; ამას რომ წყნარ ოკეანეში ჩაძირული გემები ან დალნისა და პორტ-არტურში დანგრეული შენობები და სიმაგრეები დავუმატოთ, სულ სხვა ჯამი გამოვაო.

პორტ-არტურის უკანასკნელი დღეები. „დეილი ექსპრეს“-ის კორესპონდენტი დაწვრილებით ასწერს, როგორ გამოვიდა რუსის ჯარი პორტ-არტურიდან: სამის დღის განმავლობაში რუსის მეციხოვნე ჯარი მტრედის ბუხტის ნაპირას სოფ. იაპურავასთან შეკრიბეს. იაპონელმა კომისარებმა რუსები დათვალეს და სიაში ჩასწერეს, ჯანმრთელი ჯარის-კაცები სადგურ ჩინლინძუში გაგზავნეს, მტრედის ბუხტიდან 15 ვერსის მანძილზე, იქიდან დალნიში წავლენ და მერე იქიდან ზღვით იაპონიაში გაიგზავნებიან. რუსის ჯარი ცალ-ცალკე რაზმად მიდიოდა, თითო რაზმში რამდენიმე ასი კაცი იყო. ცივი, სუსხიანი ქარი ჰქროდა, ჯარს სიარული უჭირდებოდა. აფიცრები, ვისაც სიარული უჭირდა, სამს დიდ ეტლში ისხდნენ. ყოველ რაზმს იაპონელი სალდათები მისდევდნენ გატენილ თოფებით, წინ რუსის აფიცრები მიუძღვოდნენ. რკინის გზის სადგურთან იაპონელები მიეგებნენ რუსებს და გატაცებით დაუწყეს ცქერა. რუსის აფიცრებს, ეტყობა, არ მოეწონათ ესა, მაგრამ ხმა არ ამოიღეს, რადგან მალე დარწმუნდნენ, რომ იაპონელები იმათ სალდათებს კარგად ექცეოდნენ და თამბაქოსა, პურსა და ლუდს სთავაზობდნენ. იაპონელი სალდათები ყოველ რუსის აფიცერს სამხედრო სალამს აძლევდნენ. ვაგზალს ახლო რუსები შედგნენ და ცეცხლი დაანთეს, იაპონელებიც ჰშველოდნენ ცეცხლის გაჩენას. გენ. სტესელმა წინ და წინ მოითხოვა, რომ რუსის ხმელეთის ჯარი, თუ მეზღვაურები თავისუფლად გასულიყვნენ პორტ-არტურიდან, მაგრამ ეს მოთხოვნილება იაპონელებმა გადაჭრით უარ-ჰყვეს... („ბ. ვ.“).

„რუსკოე სლოვო“-ს კორესპონდენტი ლოდიჟენსკი იუწყება ჩიფუდან: ხელით სასროლ ყუმბარების ხმარება ბრძოლის დროს პირველად იაპონელებმა შემოიღეს და მერე რუსებმაც გადაიღეს იმათგანაო.

„რუს“-ი სწერს: „რამდენიმე კვირა გავიდა პორტ-არტურის დაცემის შემდეგ და აქამდე არავითარი ოფიციალური ცნობა არ გამოუცხადებია რუსეთის მთავრობას არც დამორჩილების პირობაზე, არც იმაზე, თუ რა დავლა აიღეს იაპონელებმა; ისიც-კი არაა ჯერ გამოცხადებული, თუ ვინ დარჩა ცოცხალი და ვინ მოკვდა. ეხლა რაღა დასამალია პორტ-არტურის ამბები? მაშ როდის გამოაცხადებენ პორტ-არტურზე სარწმუნო ოფიციალურ ცნობებს“?

გენ. კონდრატენკო. „დეილ მეილ“-ის კორესპონდენტი იუწყება: რუსის აფიცრები ყველანი ერთხმად ამბობენ, გენ. კონდრატენკოს დიდი გავლენა ჰქონდა აფიცრებსა და სალდათებზეო. რამდენჯერმე გაამხნევა რუსის ჯარი და დამორჩილებაზე ხელი აალებინაო. როცა გენ. კონდრატენკოს მოკვლის ამბავი გაიგეს, ციხის დამცველები მდუღარე ცრემლითა სტიროდნენ: მაშინ გადასწყდა ციხის ბედიო. („ნ. დ.“).

დღესასწაული ტოკიოში. „დეილი ქრონიკლ“-ი იუწყება: იაპონელები ტოკიოში მთელ ერთ კვირას დღესასწაულობდნენ პორტ-არტურის აღებას; დღესასწაული პარკში სეირნობითა და შუშხუნებით დასრულდა. ქალაქში სრული კვირა პროცესიები დადიოდნენ; საღამოობით ილიუმინაცია იმართებოდა. მთელი ქალაქი ბაირაღებითა და ჭრელ ფარნებით იყო მორთული. („ნ.“).

ლაპარაკი ზავზე. პორტ-არტურის აღების შემდეგ უფრო ბეჯითად დაიწყეს ზავზე ლაპარაკი. „ბერლინერ ტაგებლატ“-ი იუწყება: იაპონიის ოფიციალურ წრეებთან დაახლოვებულმა პირმა გამოგვიცხადა: ჩვენც იმას გეტყვით, რაც ჩვენმა პარლამენტმა სთქვა: იაპონიას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, იარაღი არ დაჰყაროს, სანამ თავის საწადელს არ შეისრულებს. იმედი გვაქვს, რომ ჩინეთი არავითარ მონაწილეობას არ მიიღებს ომში. იაპონია, რაც კი შეეძლო, ეცადა, რომ ჩინეთი ომში არ გარეულიყო. იაპონია ასე იმიტომ იქცევა, რომ 1. ომის ასპარეზი შეზღუდოს და ნეიტრალურ სახელმწიფოების ვაჭრობა არ შეაფერხოს და 2. შიდა ჩინეთში არეულობა და უცხოელების წინაამდეგ აჯანყება არ მოხდეს. („ნ. დ.“).

წყნარ ოკეანის მეორე ესკადრა. ინგლისელები ჰფიქრობენ, რუსის ესკადრას ინდოეთის ოკეანეში გავლა ძლიერ გაუჭირდებაო. რუსის ესკადრამ ტამატაკიდან (კუნძულ მადაგასკარზეა) ზონდის სრუტემდე სულ მოკლე გზით რომ იაროს, მაინც 3,400 მილი უნდა გაიაროს. ეს გზა თითქმის გაუჩერებლივ უნდა გაიაროს, ინდოეთის ოკეანეში-კი იანვარსა, თებერვალსა და მარტში საშინელი ქარი ჰქრის ხოლმე. ამ ქარს გემი ძნელად უძლებს: ჯავშნიანი გემები, ნაღმიანი და კონტრ-ნაღმიანი გემები მეტად დიდ საფრთხეში ჩაცვივიან. მაგრამ რუსის ესკადრას მეტი გზა არა აქვს, უნდა გაიმარჯვოს, ან დაიღუპოს. („რ.“).

იაპონელები სულაც არ იგდებენ აბუჩად ადმ. როჟესტვენსკის ესკადრას. „დეილი მეილი“-ს კორესპოდენტი მეკენზი იუწყება: ამას წინად ერთმა გამოჩენილმა იაპონელმა სთქვა: დაცინვას რომ რუსის გემების ჯავშნის გათხელება, ან ადმ. როჟესტვენსკის გაბრუნება შეეძლოს, ჩემზე ძლიერ არავინ იცინებდა. მაგრამ სიცილიდან სიცილის მეტი არა გამოვა რა, ამიტომ ჩვენც რუსის ესკადრასთან საბრძოლველად უნდა დავემზადნეთ. („ნ. ვ.“).

წყნარ ოკეანის მესამე ესკადრა. „რუს“-ს შეუტყვია, წყნარ ოკეანის მესამე ესკადრის უფროსად კონტრ-ადმირალი ნ. ი. ნებოგატოვი დაინიშნესო. ნებოგატოვი აქამდე შავი ზღვის ფლოტის სამოსწავლო რაზმის უფროსად იყო. ადმირალი ლიბავაში წავიდა თავის ესკადრის დასამზადებლად. 15 იანვრის შემდეგ ესკადრა ზღვაში გადის გამოსაცდელად. აპრილის დამდეგს ესკადრის დანარჩენი ნაწილი—4 გემიც გავა ზღვაში. ეს გემები ამ ჟამად კრონშტადტში დგანან.

ჩვენი საჭიროებანი

I

საერთო შესავალი

რუსეთის იმპერიის ცხოვრებაში მეტად საინტერესო მომენტი დადგა. მოკლედ რომ ვთქვათ, ამ მომენტის დახასიათებაა: ძველი ცხოვრება არ ვარგა, საჭიროა ახალი ფორმები სახელმწიფო და საზოგადოებრივ ცხოვრებისათვის—რუსეთის მოწინავე ინტელიგენციას და ხალხის საუკეთესო ელემენტებს ეს რწმენა კარგა ხანია ასულდგმულებდათ, კარგა ხანია ამას სიტყვითაც და საქმითაც ჰქადაგებდნენ; მაგრამ დღეს, გარემოებამ მოიტანა, და ეს რწმენა თითქმის საერთო გახდა. დღეს მარტო უიმედო ობსკურანტების მცირეოდენ ჯგუფს ჰგონია კიდევ, რომ შესაძლებელია ძველებურად ცხოვრება, შესაძლებელია ისტორიის ბორბლის შეჩერება, მიუხედავად იმისა, რომ ბორბალმა მეტად ძლიერად იწყო ტრიალი...

მაგრამ ობსკურანტებს ჯერ-ჯერობით თავი დავანებოთ და ვნახოთ როგორ არის საქმე ისტორიულ ასპარეზზე პირისპირ მდგომ ძალებისა, რომელთაგან დღეს დამოკიდებულია საკითხი, თუ რა გზას დაადგება რუსეთის ცხოვრება ახლო მომავალში. ჩვენს წინაშე დგანან მომქმედი ელემენტები: მმართველი წრეები, საზოგადოება და ხალხი. ამ ჟამად სამივე ელემენტი ამოძრავდა, სამივე ელემენტმა თავისი სურვილი და მისწრაფება, რომელიც დღემდის, დროთა ვითების გამო, გულის სიღრმეში ჰქონდა დამალული, გამოამჟღავნა; სამმავე ელემენტმა შეიგნო, რომ უკან დაბრუნება არ შეიძლება, და სამივე თავ-თავისაკენ იწევს, თავის პროგრამის გამარჯვებისათვის მუშაობს...

მმართველ წრეებმა (ან როგორც ეხლა მონათლეს პრესსამა და საზოგადოებამ), ბიუროკრატიამ უკვე რამდენიმე წელიწადია იგრძნო დღევანდელ დღის მოახლოვება და მუშაობას შეუდგა. ერთის მხრით იგი შეეცადა ცოცხალ ძალების დამორჩილებას და ცხოვრების ახალ მოთხოვნის უარ-ყოფას, მეორეს მხრით, ყური ათხოვა ზოგიერთ საჭიროებას და მათის დაკმაყოფილებით ჰფიქრობდა საქმის გათავებას. ბიუროკრატიის ამ გეგმის ამსრულებელი განსვენებული მინისტრი პლევე იყო. იმან სასტიკი ომი გამოუცხადა ყველა საზოგადოებრივ ძალებს და იმავე დროს სცდილობდა, საგლეხო კანონმდებლობისა, სწავლა-განათლების საქმესა და სხვა საჭიროებაში წვრიმალი რეფორმები მოეხდინა. როგორც იცით, ყოველმა ცდამ უნაყოფოდ ჩაიარა და ცხოვრებამ უფრო მეტის ძალითა და დაჟინებით მოითხოვა ძირითად რეფორმების მოხდენა. უეჭველია, პლევეს სისტემის უვარგისობას თვით რუსეთის შინაური ვითარებაც გამოამჟღავნებდა, მაგრამ შორეულ-აღმოსავლეთში ატეხილმა ომმა უფრო მალე და უფრო ნათლად დაამტკიცა ბიუროკრატიის სრული დაცემა და დაუძლურება. მაშინ ბიუროკრატიამ გაჰბედა და ერთი ნაბიჯი გადადგა წინ. იმისი ახალი პოზიცია შემდეგია: მოახდინოს გაუმჯობესება სახელმწიფოს ცხოვრების ყოველ დარგში, მაგრამ უარ-ჰყოს ძირითადი რეფორმა. იმისი ახალი პროგრამაა: გლეხის იურიდიულ უფლებათა გაფართოვება, საერობო და საქალაქო თვით-მმართველობათა ასპარეზის გადიდება, პრესსის მდგომარეობის შემსუბუქება და სხვა უსამართლო კანონების შეცვლა-მოსპობა, რასაც დღეს მინისტრთა კომიტეტი იხილავს.

ამრიგად ჩვენ ვხედავთ, თვით მმართველი წრეებიც დარწმუნებულნი არიან, რომ ძველი აღარ ვარგა, რომ უკან დაბრუნება არ შეიძლება: მათაც შეიგნეს „დიდ (КРУПНЫЯ) ცვლილებათა“ მოხდენის აუცილებლობა, მაგრამ ბიუროკრატიამ, როგორც წინადაც, ახლაც თავის თავს ვერ უღალატა: მოსახდენ რეფორმების არჩევანიც მე მეკუთვნისო და მათი ამსრულებელიც მე უნდა ვიყოო. დღევანდელ ისტორიულ მომენტის დიდი მნიშვნელობაც სწორედ აქ იწყება. საქმე ის არის, რომ ქვეყნის სხვა ელემენტები ამბობენ,—არა, რეფორმების არჩევანი და განხორციელება ბიუროკრატიას არ ძალუძს. ეს ხმა მაღლა აღიარა საზოგადოებამ, როცა უმაღლესის ბრძანებით შინაგან საქმეთა მინისტრად თავ. სვიატოპოლკ-მირსკი დაინიშნა და საზოგადოებას შეღავათი მიენიჭა თავის აზრის გამოთქმის საქმეში. აღსანიშნავი ის არის, რომ ამ საკითხში ერთმანეთს დაუახლოვდა და შეუთანხმდა ისტორიულს ასპარეზზე ორის მომქმედ ელემენტის—საზოგადოებისა და ხალხის—ინტერესი. ბიუროკრატიას ეცილებიან საზოგადოებაცა და ხალხიც და ამბობენ, რუსეთის ცხოვრების კრიზისიდან გამოყვანა ძველებურის ხერხითა და საშუალებით აღარ შეიძლებაო. დღეს თავი და თავი საკითხი სწორედ ეს არის. ცნობილ ჟურნალ „პრავო“-ს ერთ-ერთი სარედაქციო წერილი ასე ახასიათებს დღევანდელ მდგომარეობას: ერის ცხოვრებაში დიდებული დრამა დაიწყო. პირველი მოქმედება დრამისა დასრულდა იმ რეფორმების გამოცხადებით, რომელთაც ბიუროკრატია იხილავს ამ ჟამად მინისტრთა კომიტეტში. ფარდა დაეშვა და ხალხმა არ იცის, რა კეთდება კულისებს უკან. მაგრამ ხალხმა იცის, რომ ფარდა მალე უნდა აიხადოს ისევ, რათა დიდებულ დრამის მეორე მოქმედებაც აღსრულდესო... როგორი იქნება დრამის დასასრული, ეს ბევრ სხვა-და-სხვა გარემოებისაგანაა დამოკიდებული. თუმცა იმის საბოლოო შედეგი დაფარული არავისთვის არ არის: რუსეთის ცხოვრების უკანასკნელი წლეები უტყუარად მოწმობენ, რომ ბიუროკრატიამ დაჰკარგა შემოქმედებითი ძალა და ერის ცხოველ ელემენტების დაუხმარებლად ვეღარ იხსნის რუსეთს გაჭირვებულ მდგომარეობიდან. მთელის რუსეთის მოწინავე საზოგადოება, ერის საუკეთესო ნაწილი და პრესსა დღეს ამას ამტკიცებენ და გაფაციცებით „აფასებენ ყველა ძველ ღირებულობას“: მართვა-გამგეობის საქმე, ადგილობრივი თვით-მმართველობა, სასამართლო, სწავლა-განათლება, ეკონომიური პოლიტიკა, ერთის სიტყვით სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველი მხარე ხელ-ახლავ უნდა იქმნას გადასინჯულ—შეფასებულიო ახალი დროის საჭიროების მიხედვითაო...

ამრიგად, დღეს რუსეთში ორგვარი მუშაობა სწარმოებს: ერთის მხრით ბიუროკრატიას ეცილებიან რეფორმების არჩევისა და მოხდენის საქმეში, მეორეს მხრით ახალ, მოსახდენ რეფორმებს იხილავენ და ძველ ცხოვრების უარყოფასა და კრიტიკაში არიან. ეჭვს გარეშეა, რომ ჩვენი ქვეყანაც არ უნდა ჩამორჩეს ამ საერთო მოძრაობას და მართლაც ისიც, რამდენადაც შეუძლია, მხარს აძლევს რუსეთის პრესსასა და საზოგადოებას დღევანდელ მდგომარეობისა და საჭიროებათა გამოკვლევის საქმეში, სიტყვითა და საქმით მუშაობაში. რა უნდა დღეს ჩვენს ქვეყანას, რის განხორციელებას მოელის ამ მოკლე ხანში, ამის აღნუსხვას გვინდა შევუდგეთ შეძლებისამებრ ჩვენს მომავალ წერილებში.

გან

ფელეტონი

გაკვრით

სიმდიდრე ინგლისსა და საფრანგეთში

ზოგ სახელმწიფოს უდიდესი სახელმწიფო ბიუჯეტი აქვს; ზოგ სახელმწიფოში ვაჭრობა და საბანკო ოპერაციები უდიდეს სარგებლობას აძლევს კაპიტალისტებს; არის ისეთი სახელმწიფოც, სადაც დიდ-ძალი დამოუკიდებელი მიწათ-მოქმედი და ხელოსანი გაუჭირვებლად სცხოვრობს. რომელია მათ შორის უფრო მდიდარი?

თუ წლიურ სახელმწიფო ბიუჯეტს მივიღებთ სიმდიდრის დასაფასებლად, რუსეთს პირველი ადგილი უკავია—მისი ბიუჯეტი უდრის ორ მილიარდსა და ოთხას მილიონს.

ვაჭრობისა და საბანკო ოპერაციების შემოსავლის მიხედვით ინგლისი პირველია ყველა სახელმწიფოებში; მარტო სხვაგან გასესხებულ ფულის სარგებელი შემოდის წელიწადში ერთი მილიარდი და ორასი მილიონი. ჩვენც ეგრე ვიცნობთ ინგლისს—იგი უმდიდრესი სახელმწიფოა მთელს ქვეყანაზე; აქ არის თავმოყრილი მთელის ქვეყნის სიმდიდრის უდიდესი ნაწილი, ეს ყოველ მოსწავლემ იცის.

მაგრამ თუ ჩვენ იმას მივაქცევთ ყურადღებას, თუ რომელ ერში უფრო მეტია დამოუკიდებელი, არა მდიდარი, მაგრამ გაუჭირვებელი ხალხი, დავინახავთ, რომ საფრანგეთში ორი მესამედი მცხოვრებლებისა უზრუნველყოფილია და ამიტომ ეროვნულ, სახალხო სიმდიდრის მხრივ საფრანგეთს პირველი ადგილი უკავია.

ცხად წინააღმდეგობამდე მიგვიყვანა ჩვენმა მსჯელობამ: გამოდის, რომ სიმდიდრის მხრივ პირველი ადგილი უკავია სამ სახელმწიფოს. ადგილი კი ერთია—რომელს უნდა დავუთმოთ იგი?

მოვისაზროთ, მაგრამ რუსეთს თავი დავანებოთ—მის სიმდიდრეზე მჭევრმეტყველურად ღაღადებენ სასოფლო-სამეურნეო კომიტეტების მოხსენებანი... შევადაროთ საფრანგეთი და ინგლისი.

საუკეთესო ეკონომისტების და სტატისტიკოსების გამოანგარიშებით ინგლისის წლიური შემოსავალი უდრის 19 მილიარდ მანეთს. სერ რობერტ გიფენი, საუკეთესო ავტორიტეტი, როგორც თავმჯდომარე სტატისტიკურ საზოგადოებისა, ორის წლის წინად ანგარიშობდა, რომ ინგლისის შემოსავალი 17½ მილიარდი არისო. მაგრამ პროფესორ ბოულეის გამოანგარიშებით, რომელსაც გიფენიც დაეთანხმა, წლიური შემოსავალი 20 მილიარდამდე უნდა იყოს.

ოცს თავი დავანებოთ და ავიღოთ 19 მილიარდი: გამოდის, რომ თითოეულ სულზე, გაურჩევლად სქესისა და ასაკისა, შემოსავალია 475 მანეთი (გაჰყავით 19 მილიარდი 40 მილიონზე); და ოჯახში რომ ორთა შუა რიცხვით ოთხი სული ვიანგარიშოთ, თითოეულ ოჯახს 1900 მანეთი შემოსავალი მოუდის. ამ ფულით-კი რიგიანად შეიძლება ცხოვრება თვით ლონდონშიაც, სადაც ასეთი სიძვირეა.

მაგრამ რად არის, რომ ინგლისში ორ მილიონ სულზე მეტი ულუკმო-პუროა, ნაგლეჯ-ნაფლეთებით შემოსილი, თავშესაფრებში და უპეჯო, უქვეშსაგებო ქოხმახებში მცხოვრები? რად არის, რომ სხვა ათი მილიონი ძლივს რადაც ორ გროშს შოულობს და ნახევრად მშიერია? რად არის, რომ სხვა 20 მილიონ ინგლისელს წლიური შემოსავალი აქვს სულ 150—200 მანეთი და მხოლოდ ოთხი მილიონი იღებს 300—400 მანეთს წელიწადში.

ეს იმიტომ არის, რომ სპეციალისტების მიერ გამოანგარიშებული შემოსავალი ინგლისის ერს-კი არ ეკუთვნის, არამედ 4 მილიონ მემამულეს, კაპიტალისტს, მეფაბრიკეს და სავაჭრო ფლოტის პატრონს. ოთხ მილიონ მესაკუთრის სიმდიდრეს შეცდომით ეროვნული სიმდიდრე უწოდეს. ეხლანდელ სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებათა მიზეზით არსებობს სიმდიდრე სახელმწიფო—სახელმწიფოთა ადგილები, რეგალიები, სანაპირო მრეწველობანი—სიმდიდრე კერძო პირებისა, კერძო საზოგადოებათა და ქალაქებისა, მაგრამ არსად არ არსებობს სიმდიდრე ეროვნული, თუ ანგარიშში არ მივიღებთ სკოლებს, ეკკლესიებს, მუზეუმებს, რაც მართლა ერს, ე. ი. ყველა მცხოვრებთ ეკუთვნის და არა სახელმწიფოს, კერძო წოდებათ, ქალაქებს ან საზოგადოებათ.

მაშ როგორ მოხდა, რომ 19 მილიარდი ინგლისის წლიურ შემოსავლისა ეროვნულ სიმდიდრედ მიიჩნიეს? განა ერია ან უბრალო უმრავლესობაა განმკარგულებელი და განმანაწილებელი ამ უზარმაზარ შემოსავლისა? რასაკვირველია, არა. საკუთრებისა და მემკვიდრეობის კანონების მიხედვით, რომელთაც ვერ შესცვლის ვერც მეფე და სამინისტრო და ვერც პარლამენტი, თუ სოციალური რევოლუცია არ მოახდინა, 43 მილიონ ინგლისელიდან სულ 4 მილიონია (ე. ი. ერის ერთ-მეათედზე ნაკლები), რომ განკარგულებას შვრება და ანაწილებს ამ შემოსავალს.

ვნახოთ, როგორია ეს განაწილება.

ინგლისში შემოსავალზე გაწერილ გადასახადს იხდის მხოლოდ ის, ვისაც წლიური შემოსავალი 1600 მანეთზე მეტი აქვს. ასეთ გადამხდელთა სიიდან გამოდის, რომ 4 მილიონ ინგლისელს 10 მილიარდი წლიური შემოსავალი ჰქონია, რადგან ამ შემოსავლის გადასახადს იხდის. მაშასადამე დანარჩენ 36—38 მილიონზე სულ 9 მილიარდი მოდის.

მემკვიდრეობის გადასვლა-გადმოსვლის სიას თუ გადავათვალიერებთ, დავინახავთ, რომ ქონების განაწილება მდიდრებსა თუ ღარიბებს შორის არ ემორჩილება ეროვნულ ინტერესებს. ერს მხოლოდ ერთი უმთავრესი ინტერესი აქვს: ყოველ თავის წევრს მიანიჭოს, რამდენადაც შეიძლება თანასწორად, მატერიალური, გონებრივი და ქონებრივი სიკეთე. როგორც ეკკლესია, უფასო სკოლა და მუზეუმი ღიაა ყველასათვის, ისე ეროვნულ სიმდიდრითაც ყველა უნდა სარგებლობდეს... და ეგრეც იქმნებოდა, რომ ინგლისის შემოსავალი მართლა ეროვნული იყოს, როგორც ამბობენ. მაგრამ ამაზედ შემდეგ ვილაპარაკოთ. ეხლა ვნახოთ, როგორია განაწილება ამ საარაკო სიმდიდრისა მემკვიდრეობის მოძრაობის მიხედვით.

წვრილი მემკვიდრეობა, თავის ვალითა, 1903 წელს გადასულა 26,665, ღირებული 39 მილიონი მანეთი. ვალის გასტუმრების შემდეგ ეს მემკვიდრეობანი იყო 200-დან დაწყებული 1000 მანეთამდე. ათას მანეთზე ზევით იყო:

	მემკვიდრეობა.	მილ. მანეთისა.
1000—5000 მანეთამდე.—	5,652	25.510.000
5000—10.000 „	9.909	83.570.000
10.000—100.000 „	16.114	593.510.000
100.000 მილიონამდე	3480	1.041.000.000
1 მილ.-დან 10 მილ.-მდე	401	680.000.000
10 მილიონზე მეტი	7	146.050.000
სულ მემკვიდრეობა იყო	62.108	2.041.180.000

მანეთისა.

ჩვენ აქ ვხედავთ, რომ შვიდ კაცს მიუდია თავის განკარგულებაში 146 მილიონი; 3888 კაცს მიუდია—1.867.050.000 მანეთი. მკითხველი თვითონ დაინახავს იმ სისტემის ღირსებას, რომელიც ოთხიათასზე ნაკლებ ხალხს თითქმის ორ მილიარდს აძლევს, ე. ი. მთელის ერის შემოსავლის ერთ მეცხრედს...

საფრანგეთში კაპიტალი და შემოსავალი ბევრით ნაკლებია. ანატოლ ლერუაბოლიე და სხვა მეცნიერები საფრანგეთის შემოსავალს 12½ მილიარდად ანგარიშობენ. მაგრამ რა დიდი განსხვავებაა ქონების განაწილებაში! იმავე 1903 წელს საფრანგეთში გადასულა მემკვიდრეობა.

	მემკვიდრეობა,	ღირებული
200 მანეთზე ნაკლები—	121.588	13.000.000
200-იდან 700-მდე —	105.597	53.000,000
770 3880 —	102.800	198.000.000
3880 19.300 —	41.847	350.000.000

სულ წვრილი და საშუალო მემკვიდრეობა გადასულა 371.832, ღირებული 614.000.000 მანეთი. მსხვილი და ძალიან დიდი მემკვიდრეობა გადასულა სულ 14.260, ამ რიცხვში მი-

ახალი ამბავი

◆ ტფილისის საბჭოს ხმოსანთა ერთმა ჯგუფმა განცხადება გადასცა ქალაქის მოურავს. ხმოსნები სწერენ, რომ **ქალაქის მეეზოვენი** თავიანთ პირდაპირ მოვალეობას არ ასრულებენ და, როგორც რიგია, თვალყურს ვერ ადევნებენ ეზოების სისუფთავესა. მიზეზად ხმოსნები იმას ასახელებენ, რომ მეეზოვენი უფრო პოლიციის სამსახურს ასრულებენ და მონაწილეობას იღებენ უწესოების ჩაქრობაშიო. ხმოსნები სთხოვენ მოურავს, შეიტანოს საბჭოში საკითხი იმის შესახებ, რომ შუამდგომლობა იქნას აღძრული მეეზოვეთა პოლიციურ სამსახურისაგან განთავისუფლების შესახებ.

◆ როგორც ფოთიდან გვატყობინებენ, 3 იანვრიდან რკინის გზის ლიანდაგზე დღიურმა **მუშებმა უარი სთქვეს მუშაობაზე** და დღიურად თხოულობენ მანეთს. ახლა რკინის გზის მთავრობამ განკარგულება მოახდინა, რომ ამ მუშების ნაცვლად ოსმალები დაიბარონ.

◆ ამ დღეებში **იმიერ-ბაიკალის** გზაზე ამიერ-კავკასიის რკინის გზიდან გაიგზავნება ათი მემანქანის თანაშემწე. ამათში ოთხი ქართველია. ამათ გარდა გზათა მინისტრის განკარგულებით, ამიერ-კავკასიის რკინის გზიდან გაიგზავნება ხუთი სლესარი. ესენი უსათუოდ ჯანმრთელები და სიცივის ამტანნი უნდა იყვნენო.

◆ ტფილისის **ქალაქის გამგეობის წევრის არჩევანი**, ტ. ა. ენფიანჯიანცის ნაცვლად, რომელსაც სამსახურის ვადა გაუთავდა, გადაიდო 17 იანვრისათვის. კანდიდატად ისევ ენფიანჯიანცს ასახელებენ.

◆ ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის **შეძლებელ მოსწავლეთა დამხმარებელ** საზოგადოების სასარგებლოდ გამართულ რაუტიდან შემოვიდა სულ 1809 მან. ზოგს ფული შესატანი აქვს. კომიტეტის ანგარიშით, საზოგადოებას დარჩება 2000 მან.

◆ როგორც „ტიფ. ლ.“-ს დეპეშით ატყობინებენ, 8 იანვარს ერევანში, თავის ბინაზე, **მოუკლავთ ადგილობრივ გიმნაზიის მასწავლებელი** ხრაპკო. მკვლელი ვერ აღმოაჩინეს. მეორე დღეს სარდარის ბაღში თავი მოიკლა შარურო-დარალაგეზის მაზრის სასოფლო ექიმმა ჩერნიკოვმა.

◆ მთავარ-მართებლის კანცელარიამ გაუგზავნა ტფილისის გუბერნატორს ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენი ფული გადაიდო წელს გუბერნიაში **სამკურნალო ნაწილის** შესანახავად. როგორც ამ ცნობებიდანა სჩანს, ტფილისის გუბერნიის 9 სასოფლო მკურნალის, 27 უფროს და უმცროს ფერშლის და 9 ბებია-ქალის შესანახად გადადებულია 35,584 მან. გარდა ამისა ექიმების მიმოსვლის ხარჯად—3967 მან., სამკურნალოების შესანახად, აფთიაქებისათვის წამლების შესაძენად და სხვა საქმისთვის 23,720 მან.

◆ როგორც მკითხველებმა იციან, 1904 წლის 8 მარტის კანონით ამიერ-კავკასიის **სოფლის ქსენონები** უნდა გადაკეთდნენ სასოფლო საავადმყოფოებად. გარდა იმ ფულისა, რომელიც საერობო თანხიდან არის ამ საქმისათვის გადადებული, უმაღლესმა მთავრობამ კავკასიის მთავარ-მართებელს გადასცა სამკურნალოების მოსაწყობად 400,000 მან. მთავარ-მართებლის კანცელარიამ გუბერნატორს გამოუგზავნა ანგარიში იმ თანხისა, რომელიც უნდა მოხმარდეს ტფილისის გუბერნიის სამკურნალო ნაწილის შენახვას და აცნობა, რომ გუბერნიაში საავადმყოფოების მოსაწყობად მიმდინარე წლისათვის დამატებით გადასდო მთავარ-მართებელმა 27,954 მან. ამასთან კანცელარია ატყობინებს გუბერნატორს, რადგან პოექტი იმ წესდებისა, რომლითაც უნდა იხელმძღვანელონ საავადმყოფოების დასაარსებელ ფულის დახარჯვისა და საავადმყოფოების მართვა-გამგეობის დროს, ჯერ არ არის დამტკიცებული, ამიტომ განკარგულება მოახდინეთ, რომ ამ შემთხვევაში სათანადო დაწესებულებებმა იხელმძღვანელონ 1884 წლის 27 თებერვალსა და 1897 წლის 8 მარტს გამოცემულ კანონითაო. კანცელარია იმასაც ატყობინებს გუბერნატორს, რომ რადგან სასოფლო საავადმყოფოებისა და ფერშლების „პუნქტების“ შესანახად დიდ-ძალი ფულია გადადებული და შესაძლებელია ფული გადაგრჩეთ ყოველ წლობით, განკარგულება მოახდინეთ, რომ ხარჯს გადარჩენილ ფულით შეუდგეთ საავადმყოფოებისათვის საკუთარ შენობების აგებას სოფლებში; თუ ვინიცობაა შენობების აგებას დასჭირდება 50,000 მანეთზე მეტი, მაშინ შუამდგომლობა უნდა აღძრათ მთავრობის წინაშე ზედ-მეტ ფულის გადადების შესახებაო.

◆ ვგონებთ, ეხლა-კი ეღირსება **გორი ხეირიანსა და მკვიდრ ხიდს მტკვარზე**. ამ საქმისთვის გადადებულია საერობო თანხიდან დიდი ფული—170 ათასი მანეთი. პროექტი ხიდისა შედგენილია ინჟენერ როტინოვის მიერ.

◆ გურია-სამეგრელოს ეპარქიაში ზუგდიდის წმ. ნიკოლოზისა და ზემოხეთის წმ. გიორგის **ეკკლესიები გაუტეხიათ**. ზუგდიდის ეკკლესიიდან, გარდა ძვირფას ნივთებისა, წაუღიათ ფულად, სანთლის ყუთიდან 7 მან. და 50 კაპ., და საპალესტინო საზოგადოების ყულაბიდან 5 მანეთი. ზემოხეთის ეკკლესიიდანაც ამდენი წაუღიათ. ამავე ეპარქიაში გაუტეხიათ აცანის მთავარანგელოზის ეკკლესია. წაუღიათ 98 მან. ქურდებს ეკკლესიიდან გამოსვლის დროს სროლა აუტეხიათ.

◆ ფიქრობენ ამიერ-კავკასიაში **ყირიმის სამთო კლუბის** განყოფილების დაარსებას.

◆ **სადგური ბალაჯარა**. 11 იანვარს, ღამის 1 საათსა და 50 წუთზე, როდესაც სახალხო მატარებელი № 6 წავიდა სადგურ კიშლისკენ, **საშინელი ქარ-ბუქი** ამოვარდა და მატარებელი გააჩერა მე-797 ვერსზე. ეს მატარებელი შუადღის ოთხის ნახევრამდე იმ ქარ-ბუქში იდგა. მგზავრები დიდ გაჭირვებაში ჩავარდნენ უსაჭმელობითა და სიცივით. თუმცა ამ მატარებელს ორი ორთქლ-მავალიება, მაგრამ ორივეს წყალი შემოაკლდა და გაცივდა. ამ მატარებლის დასახმარებლად ბაქოდან გამოგზავნეს მეშველი მატარებელი, რომლითაც მუშები და უფროსები მოდიოდნენ, მაგრამ ეს მატარებელი სადღაც ჩაჭოლა ქარ-ბუქმა და არა იცოდნენ რა იმისი. მხოლოდ 11 იანვარს, ნაშუადღევის 4 საათზე მივიდა მატარებელი კიშლაში. რომ 11 იანვარს მგზავრები გზაში არ დარჩენილიყვნენ, ათას მუშას მოუყარეს თავი, დატვირთეს თხილამურებით, რომ როგორმე შეშა და საჭმელი ჩაეტანათ. მიმოსვლა მატარებლებისა შეჩერებულია. რკინის გზა თავის ხარჯით ჰკვებავს მგზავრებს ბალაჯარას და აჯიქაბულს. პირველ და მეორე კლასის მგზავრებს ეძლევათ 1 მან. 50 კაპ. დღეში, მესამე კლასის მგზავრებს კი 75 კაპ. რკინის გზის უფროსმა შეატყობინა ნაწილების ინჟინრებს, ეცადნენ, რომ მგზავრები უსათუოდ ბალაჯარს ან ბაქოს ჩაიყვანონ.

◆ როგორც ვწერდით, ამიერ-კავკასიის **რკინის გზის რემონტის ნაწილის** უფროსმა ინჟ. აკრონკომ თანამდებობას თავი დაანება. იმის მაგიერ დანიშნეს მაზუროვსკი, რომელიც უკვე ჩამოვიდა.

◆ სად. ბორჯომი. 10 იანვარს, ღამის 1 საათზე, ბაკურიანის ლიანდაგზე, მე-2 ვერსზე ხის კაზარმას, მუშების სადგომს, ცეცხლი გაუჩნდა და ისე გაძლიერდა, რომ ერთი საათის განმავლობაში მთლად ჩაიფერფლა იმოდენა შენობა. ხალხი არ დაშავებულა.

◆ სად. ყარაიახი. 8 იანვარს, ღამის 2 საათზე, როდესაც მომუშავე გიას ბეკ-ჰუსეინ-ოღლი წყლის ცისტერნის ვაგონებს ავსებდა, ფეხი დაუცურდა და მარცხენა მკლავი მოიტეხა.

◆ 10 იანვარს ბაქოსკენ ისევ დაიწყო საშინელი ქარ-ბუქი და თოვლი, რის გამო სურახანსა და საბუნჩას შტოზე მატარებლების მიმოსვლა შესწყდა.

◆ სად. განჯა, 9 დეკემბერს, დილის 10 საათზე, დეპოში მუშაობის დროს პეტრე კრაველოვს მარჯვენა ფეხზე დაეცა რკინა და დაშავდა.

◆ პოლიციის მე-4 ნაწილში, გუდოვიჩის ქუჩაზედ, ფითოევის სახლში მცხოვრებმა გასპარ ლიონოზოვმა 10 იანვარს პოლიცმეისტერს გამოუცხადა, რომ ჩემთან მყოფი მოსამსახურე 9 წლის ქალი პრასკოვია ლოზაშვილი 6 იანვარს სახლიდან გავიდა და მას შემდეგ აღარ დაბრუნებულაო.

◆ 11 იანვარს ტფილისის საგუბერნიო საპატიმროში იყო 345 პატიმარი, ხოლო მეტეხის ციხეში 336 კაცი. საპატიმროს საავადმყოფოში 93 ავადმყოფი.

შეცდომის გასწორება. გუშინდელ „ცნობის ფურცლის“, № 2723, ფელეტონის (სიტყვა კაზმული მწერლობა 1904 წ.) უკანასკნელ სვეტში შეცდომით დაბეჭდილია: „გასულ წელს დაიბეჭდა მცირიშვილის დრამა „მეზობლები“. უნდა იყოს—რამიშვილის დრამა „მეზობლები“.

პრესსა

გაზეთ „რუს“-ში ერთის პოლონელის საინტერესო წერილია დაბეჭდილი. უფრო საყურადღებო ადგილები ამ წერილიდან გადაბეჭდილია პეტერბურგის თითქმის ყველა გაზეთებში, რომელნიც თანაგრძნობას უცხადებენ უცნობ პოლონელის აზრებს. წერილი საგულისხმიეროა ჩვენის მკითხველებისათვისაც და ამიტომ მოგვყავს აქედან ზოგი ადგილი. პოლონელი, სხვათა შორის, სწერს:

> როგორც პოლონეთის, ისე რუსეთის პრესსის სურვილები მარტო სურვილებად დარჩება იმ დრომდე, სანამ ამ სურვილებს არ განიხილავს ორისავე ერის წარმომადგენლების კრება. რუსეთში მარტო პოლონეთის საკითხი-კი არ არის; მასთან ერთად უნდა გაირჩეს საკითხი ლიტვის, ფინლიანდიის, მალოროსსიის, კავკასიის ერებისა. თანამედროვე რუსეთი წარმოადგენს მრავალ ერთა კრებას, რომელთა ვითომდა დაურღვეველი ერთობა დღეს დაცულია მხოლოდ ძალითა და მუქარით. პოლონეთის, ფინლანდიის და საქართველოს შესახებ საკითხების გადაწყვეტა დღესვე არ შეიძლება და ამას არც არავინ თხოულობს. რუსეთის ყველა ერები დღეს-დღეობით თხოულობენ მხოლოდ რეჟიმის შეცვლას. აი, ამ დროშის ქვეშ უნდა შეერთდნენ ყველა ძალები და,—მიიღეთ ეს მხედველობაში—კიდეც ერთდებიან!.. ჩვენს პოლონეთში ახლა არავინ არ ჰფიქრობს პოლონეთის განცალკევებაზე. პოლონეთის დამოუკიდებლობა არც-კი უნდა ახლა პოლონეთის კაპიტალისტებს; მავნებელიც იქნება მათთვის დამოუკიდებლობა, რადგან დაჰკარგავენ აღმოსავლეთის ბაზრებს, რომელნიც რუსეთმა მოუპოვა და გაუღო. როგორც პოლონეთის, ისე რუსეთის კაპიტალისტებს ეხლა რეჟიმის შეცვლა უნდათ, რადგან დღევანდელი რეჟიმი ხელს უშლის მათ გაძლიერების საქმეს....
>
> პოლონეთის პროლეტარიატიც შეწუხებულია დღევანდელ პირობებში. როგორც რუსეთის, ისე პოლონეთის პროლეტარიატს არ შეუძლია დღევანდელ პირობებში შეერთება და კაპიტალისტების წინააღმდეგ საერთო ბრძოლის გაწევა; ორისავე ქვეყნის პროლეტარიატს ეჭირვება თავისუფალი პრესსა და სხვა ამგვარი... ასე რომ, როგორც კაპიტალისტებს, ისე მუშებს სჭირიათ რეჟიმის შეცვლა. აი, ის უახლოესი მიზანი, რომლისაკენ უნდა მიისწრაფებოდნენ რუსებიცა და პოლონელებიც!
>
> რეჟიმის შეცვლა—აი მახვილი, რომელიც ჯერ-ჯერობით გადასწყვეტს როგორც პოლონურს, ისე სხვა ეროვნულ საკითხს რუსეთში. რაც შეეხება იმას, ცენტრალისტური თუ ფედერატიული იქნება რუსეთის სახელმწიფო, მიიღებენ ყველა ერები სრულს თავისუფლებას თუ მარტო ავტონომიას, ამის გადაწყვეტა დამოკიდებული იქნება იმ სარგებლიდან, რომელსაც მიიღებენ სხვა-და-სხვა ერები სახელმწიფოს ახალ წესწყობილებისაგან; ყოველ შემთხვევაში ეროვნულ საკითხს გადავსწყვეტთ მაშინ, როცა იქ შევხვდებით ერთმანეთს, სადაც შეგვაგროვებენ საერთო ინტერესების გამოსარკვევად...

თეატრი

ბაქო. 8 იანვარს, ქართულ თეატრის დამაარსებლის და პირველ ქართულ დრამატურგის გიორგი ერისთავის გარდაცვალებიდან ორმოცი წლის შესრულების სახსოვრად გაიმართა ადგილობრივ საარტისტო საზოგადოების დარბაზში საიუბილეო წარმოდგენა, რომელშიაც სცენის მოყვარულთა გარდა, მონაწილეობას იღებდნენ ქ-ნნი ანდრონიკაშვილისა და ეფ. მესხი.

ამ დღესასწაულის პროგრამა საინტერესოთ იყო შედგენილი. წარმოდგენის დაწყებამდე, მასწავლებელმა ქალმა მ. ხალარიძისამ წაიკითხა გ. ერისთავის ვრცელი ბიოგრაფია, შესაფერ განმარტებით, თუ საზოგადოთ რა პირობებშია ჩვენ დროში ჩვენი ეროვნული ვინაობა და ჩვენი ენა სახელმწიფო-საზოგადო დაწესებულებებსა და ოჯახებში და აგრეთვე რა სამსახური მიუძღვის ქართულ თეატრს ჩვენ თვითცნობიერების შეგნებაში. შემდეგ, ტრადიციისამებრ, დადგმულ იქმნა პირმშო ქართულ რეპერტუარისა, კომედია „გაყრა“ გ. ერისთავისა. წარმოდგენამ მწყობრად ჩაიარა და ამის მადლიერი უნდა, ვიყვნეთ, როგორც ქ-ნ ანდრონიკაშვილისა, ისე დახელოვნებულ და გამოცდილ სცენის მოყვარეთა ქ-ნთ შველიძისა, თადაკვაძისა, ნ. მაჭავარიანისა და სხვ.

ყველაზედ-კი საინტერესო [illegible] და საზოგადოებასაც ძალიან მოეწონა მესამე განყოფილება—აპოთეოზი. მშვენიერ გრძნობით და ყვავილებით მორთულ გიორგი ერისთავის ფართო სურათს გარ-შემორტყმული სცენის მოყვარულნი, მოთავით ბ-ნ დ. თედეშვილითურთ და ეროვნულ ტანისამოსში გამოწყობილნი მომღერალთა გუნდი, ტაშის ცემით და ვაშას ძახილით მიეგებნენ სურათს, როცა ფარდა აიხადა. შემდეგ ლექსი წაიკითხა ბ-ნმა პ. მაჭავარიანმა. მერე მსახიობმა ეფ. მესხმა გრძნობით წაიკითხა ი. ევდოშვილის ლექსი „სამშობლოსადმი“. ბოლოს მატარაძემ წაიკითხა აკაკის ლექსი. დრო გამოშვებით მღეროდა მგალობელთა გუნდი ბ-ნ გ. ვ. დლონტის ლოტბარობით.

როგორც ხედავთ, ხელმძღვანელთ ცდა არ დაეკლდათ საიუბილეო საღამოს ღირსეულად მოსაწყობად. თუ იმასაც მივიღებთ მხედველობაში, რომ საღამოს შემოსავლის უმთავრესი ნაწილი დანიშნული იყო ბაქოს ქართულ იაფფასიან სახალხო სამკითხველოს სასარგებლოდ, რომელიც ამ დღეებში იხსნება დასახელებულ სცენის მოყვარეთა მეთაურობით, მოსალოდნელი იყო, რომ ადგილობრივი ქართული საზოგადოება ხალისით დასწრებოდა, მაგრამ, სავალალოდ, ამ საღამოს, წინა წარმოდგენებთან შედარებით, ბევრად ნაკლები დაესწრო.

გ. ახალციხელი

რუსეთის ქრონიკა

მინისტრთა კომიტეტი. 4 იანვრის სხდომაზე, როგორც მოხსენებული გვქონდა, საქალაქო და საერობო თვითმართველობაზე ჰქონდათ მსჯელობა. გაზეთი „რუს“-ი უფრო დაწვრილებით ცნობებს იძლევა ამ სხდომის შესახებ.

„სხდომის დაწყებისთანავე გამოირკვა, რომ კომიტეტის წევრების უმრავლესობა კრიტიკულის თვალით უცქერის არსებულ საერობო და საქალაქო თვითმართველობის ბევრ მხარესა და კანონს. ზოგი დებულება სრულიად ვერ აკმაყოფილებს რაციონალურ თვითმართველობის მოთხოვნათ, ზოგი ეწინააღმდეგება მათ და ზოგიც სრულიად არღვევს. მაგალითად, ერობისა და ქალაქის ორგანოებს უფლება არა აქვთ თავისუფლად მოიხმარონ მათგან შეკრებილი ფული. კომიტეტმა პრინციპიალურად მიიღო, რომ აუცილებელია რაც შეიძლება მეტის დამოუკიდებლობის მიცემა თვითმართველობისათვის. ამასთანავე გამოითქვა სურვილი, რომ ახალი დებულება გამოვიდეს 1864 დებულების პრინციპებზე დამყარებული, რასაკვირველია, ამ დებულების იმ მხარეების შეცვლით, რომელნიც ეხლა მოძველდნენ. საგანგებო კომისიამ, რომელსაც მიენდობა ახალ დებულების შედგენა, უთუოდ უნდა იხელმძღვანელოს ვრცელ თვითმართველობის პრინციპებით. სანამ ახალი პროექტი სახელმწიფო საბჭოს გადაეცემა, კომიტეტის აზრით, იგი უნდა წარედგინოს ერობისა და ქალაქის წარმომადგენელთ. მაგრამ როგორ უნდა მოხდეს ეს უკანასკნელი წარდგენა? კომიტეტის ზოგი წევრი შემუშავებულ პროექტის განსახილველად საჭიროდ სთვლიდა ქალაქებისა და ერობათა ყველა წარმომადგენლების მოწვევას პეტერბურგში. ასეთ

ლიონებიანი მემკვიდრეობა ყოფილა სულ 120 და არა 408, როგორც ინგლისში. ნამდვილ მილიონებიანი მემკვიდრეობა ამაზე ნაკლებიც იყო—სულ 48!.. ყველა მსხვილ მემკვიდრეობის ღირებულება გამოანგარიშებულია 1.288.000.000 მან. მაშასადამე საფრანგეთში გადასულა სულ მემკვიდრეობა 1.902 მილიონისა, ინგლისზე ნაკლები მხოლოდ 139 მილიონით, და ეს ნაკლები თანხა განაწილებულა არა 62.108 პირებ შუა, როგორც ინგლისში, არამედ 386.062 პირებ შუა.

თუ ოჯახში საშუალოდ ოთხ კაცს ვიანგარიშებთ, გამოდის, რომ საფრანგეთში პატარა მემკვიდრეობა მიუღია თითქმის მილიონ ნახევარ პირს, ინგლისში კი მხოლოდ 168.904-ს. ეხლა გკითხოთ, რომელი ერი უფრო მდიდარია, ინგლისისა, სადაც ორჯელ მეტი შემოსავალია და ათჯერ ნაკლები პატრონი ამ შემოსავლისა, თუ საფრანგეთისა, სადაც ნაკლები შემოსავალია, მაგრამ ბევრად უფრო სწორად განაწილებული? რა უფრო სჯობს ერისათვის—ჰყავდეს მთელი ჯარი წვრილ და საშუალო ქონების პატრონთა, განსაკუთრებით გლეხებ შორის, როგორც ეს საფრანგეთშია? თუ იმაყოს მილიარდებიან შემოსავლით და ეს შემოსავალი კი ეკუთვნოდეს რიცხვით მცირე ჯგუფს?

ამ კითხვაზე პასუხს იძლევა მთელი წყობილება საფრანგეთისა. ინგლისში საშუალო საუკუნოებში და სტიუარტების დროს გლეხებს მიწა-წყალი ჩამოართვეს, მისი ადგილი დღიურმა მუშამ და ხიზანმა დაიკავა; ინგლისის მიწათმოქმედებამ ადგილი დაუთმო ლენდ-ლორდების პარკებსა და საძოვრებს. ამავე დროს საფრანგეთი გადაიქცა ერთ აყვავებულ ბაღად უმაღლესად განვითარებულ მიწათ-მოქმედებით, მევენახეობით, შინა-მრეწველობით, და რაც შეეხება ინდუსტრიასა და მანუფაქტურას, ნაწარმოების ღირსებით, მშოიანობით და რაოდენობითაც კი (რასაკვირველია, მცხოვრებთა რაოდენობის მიხედვით) კაცობრიობის სათავეში დგას. ეს განსაცვიფრებელი სამრეწველო ბაღი ევროპისა დაყოფილია რამდენსამე მილიონ წვრილ ნაჭრებად, რომელიც გლეხებს ეკუთვნის. საფრანგეთს დიდმა რევოლიუციამ ის უდიდესი სიკეთე უანდერძა, რომ ბატონყმობისაგან განთავისუფლებულ სოფლელებს მიწები დაურიგა. და ეს მიწის პატრონი გლეხობა შეადგენს საფრანგეთის სიმდიდრის, მის მაღალ კულტურის და აყვავებულ საზოგადოებრივ ცხოვრების ძალასა და დაუშრეტელ წყაროს. ინგლისში მეტია მილიონერები და მდიდრები, მაგრამ სამაგიეროთ მთელი მილიონებს დღიურ საკვების შოვნა უჭირთ; საფრანგეთში, როგორც ზევით დავინახეთ, მილიონერები და ძალიან მდიდრები შედარებით ცოტაა, მაგრამ სამაგიეროთ აქ რამდენიმე მილიონი წვრილი ქონებაა, რომელიც შეძლებას აძლევს ერის დიდ უმრავლესობას იცხოვროს დამოუკიდებლად და გაუჭირვებლად.

აი, ეს არის მიზეზი, რომ საფრანგეთი დიდი რევოლიუციიდან დაწყებული, მიუხედავათ ორის იმპერიის საშინელ ომებისა, ევროპის სათავეში სდგას. ჯერ, რასაკვირველია, აქაც ვერ არის საუკეთესოდ მოწყობილი სიმდიდრისა და შრომის იარაღის განაწილება, მაგრამ მაინც უფრო ახლოა ეროვნულ განაწილებასთან. საფრანგეთში უფრო მეტი ხალხი იღებს მონაწილეობას ბუნებრივ სიმდიდრისა და წლიურ შემოსავლის განაწილება-სარგებლობაში, ვიდრე ინგლისსა, გერმანიასა, ავსტრიასა და იტალიაში. და განსაცვიფრებელია გავლენა იმ პირთა რაოდენობისა, რომელთაც უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ სიმდიდრის სარგებლობასა და განაწილებაში! რაც მეტია ასეთ მონაწილეთა რაოდენობა, მით უფრო მაღალი, მდიდარი და თავისუფალია კულტურა, განათლება, საზოგადოებრივი ცხოვრება და თვით საზოგადოებრივი წესწყობილება. შვეიცარია, კანადა, შეერთებული შტატები საფრანგეთთან ერთად საუკეთესო საბუთია ამისი. რა იყო კალიფორნია და ყველა დასავლეთი შტატები ამ 50 წლის წინად? ველური უდაბნო, სადაც მხოლოდ ოქროს მძებნელნი, ე. ი. განათლებულ საზოგადოების ნაძირალნი, სცხოვრობდნენ მათსავით დაცემულ ვაჭრების დუქნებსა და ქოხ-მახებში. მაგრამ უსაზღვრო პრერიების ნაყოფიერ ნიადაგზე დაიწყეს დასახლება ქვეყნის ყოველ კუთხიდან გადმოხვეწილებმა. მიწა ყველასათვის საკმაო იყო და მუშაობას კი დაჩვეული იყო ეს თავისუფალი ხალხი; თავისუფლად, ძალდაუტანებლად მუშაობდა ყველა თავისთვის, თავის ოჯახისა და ახლობლებისთვის. მათთვის არ იყო საჭირო არც სამინისტროებისა და ბიუროკრატიის რეგლამენტაცია, არც ძლიერებისა და მდიდრების მფარველობა. ესევე ამბავი ხდებოდა სასტიკ და ცივ კანადის ბნელ ტყეებში: თავისუფალი გადმოსახლებულნი თავის ნებაზე განაგებდნენ თავიანთ შრომას თავისუფალ ადგილზე, გასჩეხეს გაუვალი ტყეები, შექმნეს თავისუფალი თვითმართველობიანი სოფლები და ამ სოფლებიდან 40 წლის განმავლობაში გაიზარდა აყვავებული ქალაქები უნივერსიტეტებით, მაღალ ტეხნიურ და სამეურნეო სკოლებით, სამუნიციპალო და საპარლამენტო სასახლეებით (შვიდი პროვინციალური პარლამენტია). თავისუფალ, თავისთვის მშრომელ გადმოსახლებულებმა კალიფორნია აყვავებულ ბაღად გადააქციეს—იგი დედა-მიწის საუკეთესო კუთხეა, მასთან შედარებით არაფრად სჩანს ნიცცა და რივიერა, ტოსკანა და სიცილია, სადაც, როგორც ინგლისში, ხალხის უმრავლესობა მოკლებულია მიწას, შრომის იარაღს, ადგილობრივ თვითმართველობას. იტალიის ჰავა საუცხოვოა, მისი ნიადაგი ნაყოფიერი, ხალხი ნიჭიერია, ცივილიზაცია უძველესი, მისი მეცნიერება, ლიტერატურა და ხელოვნება დაუშრეტელი საუნჯეა; ერთის სიტყვით, ჰავის, რასის, კულტურის პირობების მიხედვით იტალია სიმდიდრით საფრანგეთზე, შტატებზე, კანადაზე მაღლა უნდა იდგეს. ნამდვილად-კი იქ გამეფებულია სიღარიბე, უვიცობა და თითქმის უუფლებობა. და იტალიის იგივე უვიცი, დატაკი გლეხები რომ კალიფორნიაში ან შეერთებულ შტატებში სახლდებიან, დამოუკიდებელი, შეძლებული და განათლებული მოქალაქენი ხდებიან, რადგან შრომის იარაღი მათია და მონაწილეობას იღებენ ეროვნულ სიმდიდრის და წლიურ შემოსავლის წარმოებასა, შექმნას და განაწილებაში; მათი განათლებული შვილები სწავლობენ და 8 საათს მუშაობენ იქვე ქალაქში, სადაც გონებრივი და მრეწველური ცხოვრება სდუღს და გადმოდუღს; ნასადილევს, ქალაქის შრომიდან დასვენების დროს, შვილები მამებს ეხმარებიან მათ ბაღსა და ვენახში, მათ ყანასა და ბოსტანში.

—მიეცით მწარმოებელს მიწა და შრომის იარაღი, მიეცით მონაწილეობა პროდუქტების წარმოებასა და განაწილებაში და ქვეყნის სიმდიდრე მართლა ეროვნული გახდება და თვითონ ერი მდიდარი და განათლებული შეიქნება; საფრანგეთსავით მასაც შეეძლება იხადოს ორ მილიარდამდე სახელმწიფოს საჭიროებათათვის. ორ მილიარდს იხდის 38 მილიონი მცხოვრები და საფრანგეთი მაინც უმდიდრესი და უგანათლებულესი სახელმწიფო რჩება! სახელმწიფო ბიუჯეტის იმავე ორმა მილიარდმა სრულიად გაადატაკა ასი მილიონი რუსის გლეხი, ცოტა მიწის პატრონი და გადამეტებულ მზრუნველობის ქვეშ მყოფი...

ჩვენ ვლაპარაკობდით საფრანგეთის ნაციონალ-ეკონომიურ სისტემის უპირატესობაზე ინგლისურთან შედარებით; ჩვენ ვნახეთ რა სასწაულებს ჰქმნის ფრანგული სისტემა კანადაში, შეერთებულ შტატებსა და ყველა ახალ ქვეყნებში. დიაღ, თუ სიმდიდრეს თანაბარად გაანაწილებთ მთელ მცხოვრებლებში, ეს იმას ნიშნავს, რომ ეროვნულ ცხოვრებაში ჩაჰბერავთ შრომის, შრომის ნაყოფიერებისა და განათლების დაუშრეტელ ენერგიას.

მაგრამ საფრანგეთის სიმდიდრის დემოკრატიზაცია სრულიად არ არის საუკეთესო იდეალი, რომლისაკენაც მიისწრაფვის განათლებისა და პროგრესის საუკეთესო მეგობრები. მაგრამ ამაზედ შემდეგ მოვილაპარაკოთ.

მგზავრი.

შემდეგი იქნება

აზრს ადგენენ, სხვათა შორის, კომიტეტის თავმჯდომარე (ს. ვიტტე), შინაგან საქმეთა მინისტრი (სვიატოპოლკ-მირსკი) და ფინანსთა მინისტრი (კოკოვცევი). სხვების აზრით კი შემუშავებული პროექტი უნდა გაეგზავნოს ქალაქებსა და ერობათ ადგილობრივ და იქ ცალკ-ცალკე უნდა განიხილონ. ამათ წინააღმდეგ ის მოსაზრებანი მოიყვანეს, რომ ცალკ-ცალკე განხილვის შედეგი მთლიანობას იქნება მოკლებული და გარდა ამისა ერთობ დიდ დროსაც მოითხოვსო. ბოლოს უმრავლესობამ სასურველად დაინახა ერობის და ქალაქის წარმომადგენელთა მოწვევა პეტერბურგში კომისიის მიერ შემუშავებულ პროექტის განსახილველად. სასურველად სცნეს აგრეთვე, რომ ამ პროექტის შემმუშავებელ კომისიაში მონაწილეობა მიიღონ მცოდნე პირებმა და თვითმართველობის ორგანოთა ზოგ წარმომადგენლებმა სათათბირო ხმის უფლებით. მცირე საერობო ერთეულის შემოღებას თანაუგრძნობენ კომიტეტის წევრები.

მუშების გაფიცვა პეტერბურგში. „ნოვ. ვრემია“-ში მოყვანილია დაწვრილებითი ცნობები პუტილოვის ქარხნის მუშების გაფიცვაზე. გუშინ მოყვანილი გვქონდა მოლაპარაკება ქარხნის დირექტორისა მუშების წარმომადგენლებთან, მოვიყვანეთ ამ დირექტორის განცხადების შინაარსიც.

„ამ განცხადებამ 4 იანვარს არავითარი გავლენა არ იქონია მუშებზე; დღესაც გაფიცვაა... ქარხნის ადმინისტრაციამ ეს ამბავი შეატყობინა სათანადო უწყებათ და ქარხნის გამგეობას. გამგეობას გაფიცვის მასასპობად განზრახული ჰქონდა მოესპო კრედიტი მუშებისათვის 5 იანვრიდან მომხმარებელ დუქნებიდან და დათხოვნილად გამოეცხადებინა ყველა მუშები. დირექტორი თხოულობდა ქარხნის დახურვას, მაგრამ ნება არ მისცეს... ამასობაში დირექტორს შეატყობინეს, რომ საღამოს 7 საათზე მასთან მივა ყველა მუშების დეპუტაცია და წარუდგენს მოთხოვნილებას.

ჯერ კიდევ ექვსის ნახევარი იყო, რომ კარებთან შეკრებილ ხალხში გაისმა—მოდიან, მოდიანო! შემოვიდა 40 მუშა, მეტ ნაწილად შუა ხნისანი. ყველანი გარს ეხვეოდნენ ქურქიანს კაცს: ეს მღვდელი გიორგი გაპონია, წინამძღვარი პეტერბურგის საპატიმროს ეკლესიისა, ინიციატორი და თავმჯდომარე „ფაბრიკა-ქარხნების მუშათა კავშირისა.“ იგი მოვიდა მოლაპარაკებოდა ქარხნის ადმინისტრაციას მუშების სახელით, მთავარ კანტორის მისაღებ ოთახში ქარხნის მოხელენი იყვნენ, კარიდორში პოლიციის მუნდირიები მოსჩანდა. დეპუტაცია მიიღეს ქარხნის დირექტორმა სმირნოვმა და ორმა უფროსმა მოხელემ.

მღვდელმა გაპონმა დეპუტაციის სახელით წაიკითხა შემდეგი მოთხოვნანი:

1. დათხოვნილ იქნეს ოსტატი ტეტიავკინი და მიღებული ტეტიავკინისაგან გაგდებული ორი მუშა.
2. რვა საათის სამუშაო დღე.
3. ნაკეთები უნდა დაფასდეს ოსტატისა და არჩეულ მუშების მიერ ერთად და ეს დაფასება სავალდებულო უნდა იქნეს; ძველი დაფასებანი ხელ-ახლად უნდა გადაისინჯოს.
4. პუტილოვის ქარხანაში უნდა დაწესდეს მუდმივი კომისია არჩეულ მუშებისა; ეს კომისია ქარხნის ადმინისტრაციასთან ერთად გაარჩევს მუშების კერძო პრეტენზიებს; მუშის დათხოვნა შეიძლება მხოლოდ ამ კომისიის დადგენილებით.
5. ნორმალური დღიური ქირა შავის მუშისა მანეთზე ნაკლები არ უნდა იქნეს.
6. აკრძალვა მუშაობისა დანიშნულ დროს გარეშე; და თუ აუცილებელი იქნა, ერთი საათი ორად უნდა ჩაითვალოს.
7. თუ ნაკეთების დაწუნება მუშის მიზეზი არ არის, ქარხანა ნაკეთების სრულ ფასს იხდის.
8. ჩვეულებრივ მუშა-ქალებს არ უნდა ეძლეოდეთ 70 კ. ნაკლებ და ამათ ბავშვებისათვის თავშესაფარი უნდა გაიმართოს.
9. ექიმები და ფერშლები მეტის ყურადღებით უნდა ეპყრობოდნენ მუშებს.
10. უნდა გაუმჯობესდეს სასანიტარო პირობები ზოგიერთ სახელოსნოებისა, განსაკუთრებით სამჭედლოსი.
11. გაფიცვის გამო არავინ არ უნდა დაისაჯოს.
12. გაფიცვის მიზეზით გაშვებული დრო დაკარგულად არ უნდა ჩაითვალოს და მუშას მიეცეს საშუალო ქირა. ამ თათბირის გადაწყვეტილება სავალდებულო უნდა იქნეს და გამოიკიდოს საფაბრიკო ინსპექტორის ხელ-მოწერილი ქარხნის სახელოსნოებში. 4 იანვარი, 1905 წ.

ეს მოთხოვნანი ცალკე ფურცლებზეა დაწერილი და ქვემოდ აწერია—„ნამდვილთან სწორია. მღვდელი გიორგი გაპონი“.

ცალკე მუხლების წაკითხვა იწვევდა ცხარე შენიშვნებს, როგორც დირექტორის, ისე მამა გაპონისა და დეპუტაციის მხრივ.

მოლაპარაკება მეტად ცხარე და მღელვარე იყო... დირექტორი ამტკიცებდა, რომ აქციონერები ისედაც გაჭირვებულ მდგომარეობაში არიან და თუ მუშების მოთხოვნანიც მივიღეთ, სულ გავღატაკდებითო.

—აქციონერები კი არა, მუშებია გაღატაკებული, სთქვა მამა გაპონმა,—ეგრე არ არის ამხანაგებო?

ქარხნის პატრონმა ვერ დაინახა შესაძლებლად მუშების მოთხოვნის დაკმაყოფილება...

—გამგეობას მივმართვოთო,—სთქვა მამა გაპონმა,—იქ მოვითხოვთ თქვენ (დირექტორის) დათხოვნას; აღარ გთვლით ადმინისტრაციის წარმომადგენლადო“.

4 იანვარს შუადღის ორ საათზე გაიფიცნენ „ფრანკ-რუსთა საზოგადოების“ მექანიურ ქარხნის მუშები. ეხლა ქარხანაში 2500-მდე მუშა ითვლება. საღამოს მუშების რწმუნებულნი ქარხანაში მივიდნენ ადმინისტრაციასთან მოსალაპარებლად, მაგრამ აქაც ვერ შეთანხმდნენ.

კალმიკების დაწიოკება. „რუსკი ვედომოსტ“-ს სწერენ ტომსკიდან: „ტომსკის იურიდიულ საზოგადოების სხდომაზე ბატონმა აკერბლამმა წაიკითხა მოხსენება ალტაელ კალმიკების სარწმუნოებრივ მოძრაობაზე 1904 წელს. მომხსენებელმა დაუხატა თვალწინ დამსწრეთ ყოვლად შემზარავი სურათი იმ ადმინისტრატიულ ღონისძიებათა, რომელიც მიიღეს მოძრაობის მოსასპობად.

მთელი მოძრაობა გამოიწვია უმწეო ეკონომიურმა მდგომარეობამ: სარწმუნოებაში ეძებდნენ ნუგეშს ცხოვრების სიმწარისაგან. მთავარ-მქადაგებელთან, შჩელკანოვთან მიდიოდნენ კალმიკები და ერთად ლოცულობდნენ. მთავრობას მოუსვენრობა დაეტყო; დაიწყეს ძებნა პოლიტიკურ ელემენტისა ამ წმინდა რელიგიურ მოძრაობაში; გაავრცელეს რუს-გლეხებ შორის ცრუ ხმები იაპონელების მოძრაობის შესახებ. 13 ივნისს ლოცვის ადგილზე მოვიდა ბიისკის ეპისკოპოსი მაკარიოსი პოლიციის თანხლებით. კალმიკებს დაშლა უთხრეს. კალმიკებმა უპასუხეს—ვილოცავთ და მერე დავიშლებითო. ტომსკის გუბერნატორმა ბრძანა—ენერგიული ღონისძიებანი მიიღეთო. 18 ივნისს ბიისკის ისპრავნიკმა წინადადება მისცა გლეხებს ოცისთვის თავი მოეყარათ. ათასზე მეტი გლეხი მოვიდა თოფებით, კეტებითა და სხვა იარაღით. ეპისკოპოსმა პარაკლისი გადაიხადა, დალოცა ხალხი. ღამე ისპრავნიკის სარდლობით ეს ხალხი თავს დაეცა არაფრის არ მომლოდინე მლოცველ კალმიკებს. შეუდგნენ ჟლეტას, გამძვინვარებულ გლეხებს ვერაფერი ვერ აჩერებდა. თოფითა და კეტით თავებს უხეთქავდნენ უბედურ ალტაელებს. შემდეგ ძარცვას შეუდგნენ და 30 ვერსის სივრცეზე ორის კვირის განმავლობაში არ გაუშვიათ არც ერთი სოფელი კალმიკებისა. დასასრულ დაატუსაღეს 32 კალმიკი და პასუხის გებაში მისცეს „ბუნტი“-სათვის. ამბობენ, გლეხებსაც მოსთხოვენ პასუხსო“.

საზღვარ-გარედ

ლონდონი. იანვრის დამლევს ინგლისის დიდ ქალაქ ლივერპულში მოხდება კრება მუშათა კავშირების წარმომადგენლებისა უსაქმოდ დარჩენილ მუშების საკითხის განსახილველად. გამოქვეყნებულია მომავალ კრების საინტერესო პროგრამა, რომელშიაც, სხვათა შორის, აღნიშნულია ის გარემოება, რომ ინგლისის სიმდიდრეს ყოველ წელს ემატება 320 მილიონი მანეთი, მცხოვრებელთა რიცხვს-კი—400 ათასი კაცი. ამ დროს-კი ინგლისში ყოველ წელს მრავალი მუშა რჩება უსაქმოდ. ბაჟის შემოღების მომხრენი სარგებლობენ ამ გარემოებით და ამტკიცებენ, უსაქმო მუშების გაჩენის მიზეზი—ინგლისში არსებული თავისუფალი უბაჟო ვაჭრობააო. იმათ უპასუხებენ: აი, ამერიკაში შეერთებულ შტატებში ხომ თავისუფალი ვაჭრობა არ არის, უცხოეთის საქონელზე ბაჟია შემოღებული და იქაც მრავალია უსაქმოდ დარჩენილი მუშაო. მუშების კეთილდღეობა რომ ბაჟებზე და მთავრობის მიერ შემოღებულ ვაჭრობა-მრეწველობის მფარველობაზე იყოს დამოკიდებული, საფრანგეთისა და გერმანიის მუშები ბევრად უკეთეს მდგომარეობაში იქნებოდნენ, ვიდრე ინგლისის მუშები. დღეს-კი ჩვენ იქ სულ წინააღმდეგ მოვლენას ვხედავთო.

გონება შემოფარგლული პატრიოტი შოვინისტები, ბაჟების მომხრენი, ყვავებსავით დასჩხავიან მუშებს: „უბაჟო ვაჭრობის გარდა თქვენი დამღუპველი—უცხოეთის ღარიბი ხალხია, თავის ქვეყნიდან დევნილი მუშები, რომლებიც ჩვენში მოდიან და ხელიდან ლუკმას გტაცებენო. ბრძოლა უნდა გამოუცხადოთ ამ დარიბ-დატაკ ხალხს, ცხვირ წინ კარები უნდა ჩაუკეტოთ და არ შემოუშვათ ჩვენს ქვეყანაში. ამ თვალთმაქცურ თავის კერძო მცნებას ჰქადაგებენ ქონ-შემოკრებილნი შეძლებულნი, რომელთაც სწადიანთ თვალი აუხვიონ მუშებს, არ დაანახვონ, რომ ინგლისის ულუკმა-პუროდ დარჩენილ მუშების გამძარცველნი თვითონ ისინი, მდიდრები არიან, და არა გადამთიელი დარიბ-დატაკები. მუშები დროზე მიუხვდნენ ამ ვაჟბატონებს ვერაგულ პოლიტიკას და შემდეგის დღესავით ნათელ, საბუთებით უარჰყვეს მათი ბინძური ქადაგება—უცხოელების მძულვარება. ჩვენი სიღარიბის მიზეზი უცხოელები არ არიან,—ამბობენ მუშები,—ინგლისში ათას ადგილობრივ მკვიდრზე მხოლოდ 7 უცხოელი მოდის, გერმანიაში-კი—10, ბელგიაში—30 და შეერთებულ შტატებში—150. მთელ ინგლისში-კი მხოლოდ 150 ათასი უცხოელია, რაიცა 42 მილიონ ინგლისელს მცხოვრებელთან შედარებით არაფერს არ ნიშნავს. თვალთმაქცური სიტყვებით გსურთ თვალი აგვიხვიოთ, მტრული გრძნობა აღგვიძრათ უცხოელთა მიმართ. ამაოა თქვენი ცდა. სიღარიბის მიზეზი მუქთა-მჭამელა მდიდრები არიან და მდიდარი მონოპოლისტები, რომელთაც მიანიჭეს განსაკუთრებული უფლება აწარმოვონ მრეწველობის ესა თუ ის დარგი.

მართლაც ინგლისელ ლორდების თვალ-უწვდენი სიმდიდრე მთელ ქვეყანაშია ცნობილი. ერთმა მათგანმა თავმომწონედ სთქვა კიდევაც: ჩემ სასახლეებში ყოველ დღე 10 ათასი კაცი სჭამს სადილსაო, ჩემ სასახლეთა რიცხვი-კი არ ვიცი, გამიქრა მეხსიერებიდანო.

ლონდონის სასამართლოში განხილულ იქნა საინტერესო საქმე ჩარლზ დევისისა, რომელსაც ბრალდებოდა „წესიერების დამრღვევ სიტყვის წარმოთქმა“. უსაქმოდ დარჩენილმა მუშებმა კლერკენველში კრება გამართეს, რომელზედაც დევისმა შემდეგის სიტყვით მიმართა დამსწრეთ: „უნდა ჩამოვაგდოთ ტახტიდან მეფე, რომელიც სიამოვნებით გვიცქერის, როცა ჩვენ შიმშილით ვიღუპებით. წავიდეთ სასახლეში და გვირგვინი ავხადოთ ინგლისის მეფეს ედუარდ მე-VII“-ს! სასამართლომ სამი თვით დაპატიმრება მიუსაჯა დევისს და ამავე დროს დაადგინა: თუ დევისი 50 გირვანქა სტერლინგს (500 მან.) გირაოს წარმოადგენს და 6 თვის განმავლობაში არავითარ დანაშაულობას არ ჩაიდენს, სრულებით განთავისუფლებულ იქნება სასჯელისაგან.

ავსტრო-უნგრეთი. უცხოეთის გაზეთებში საინტერესო ცნობებია მოთავსებული ამას წინად სამსახურიდან გადამდგარ მინისტრ-პრეზიდენტის კერბერის შესახებ. როგორც აღმოჩნდა, კერბერი დიდ-ძალ ფულს ხარჯავდა სამინისტროს განსაკუთრებულ თანხიდან ჟურნალისტების მოსასყიდათ. 1902 წელს ორი მილიონი კრონი (ერთი მილიონი მან.) ჰქონდა სამინისტროს გადადებულ იმ საქმისათვის, ეს ფული მალე დაიხარჯა და კერბერმა ახალი წყარო აღმოაჩინა: ორდენებით ვაჭრობა დაიწყო და ბოლოს 500 ათას კრონად თავადიშვილობას და წარჩინებულთა პალატის წევრობას ანიჭებდა მსურველთ. დიდების მწყურვალე პირებს კერბერი მდიდარ კომერსანტებსა და მოხელეებს შორის ჰპოულობდა.

ოსმალეთი. იერუსალიმში შობას ბერებს შორის ჩხუბი და ცემა-ტყეპა მოხდა. „ქრისტეს მცნების“ მქადაგებელნი ქრისტეს საფლავის წინ თმაში ჩასწვდეს ერთმანეთს ხელი პროცესსიაში საპატიო ადგილების დასაჭერად. ჩხუბის დროს დაჭრილა ორი კათოლიკე ბერი.

წერილები

ვაჩნაძიანი (კახეთი). ისემც მოუსვენია ჩვენი სოფლების ამორჩეულ 12 კაცის სულს, როგორც ჩვენ მოვისვენეთ ქურდ-ბაცაცა ვაჟ-ბატონებისაგან. დამშვიდებაც ასეთი უნდა! ჩვენ კი გვიხარიან, მაგრამ ჩვენ მედუქნებს დაუშვიათ ცხვირები და გლოვობენ თავიანთ წარსულს. სადარდელიცა აქვთ; ჯერ ერთი, რომ შემოსავალი დიდი ჰქონდათ და დაჰკარგეს; მეორე კიდევ—ვისაც შეატყვეს ქურდების ამხანაგობა, ერთი ათად აზღევინეს. ეხლა ფიქრობენ: თუ ჩუმი ქურდები დავარბიეთ, დრო არის ცხად ქურდებს მივყოთ ხელიო. ესენი კი ისეთი ქურდები არიან, რომელნიც სიტყვით ჩვენთვის კეთილს ნდომობენ, საქმით კი სხვას ემსახურებიან. ასე და ამ გვარად ითვისებენ სხვისა ოფლს და თუ ძალიან არ ეცადეთ, ველარაფერს დაახწევთ, ან სულ ხელს დაიბანთ. ყველაფერზე სიტყვით დაგიყოლიებთ და ველარა მოგიხერხებიათ რა იმათი წინააღმდეგ! ასეთები არიან ჩვენი „გაუნათლებელი“ და ამაზე უარესნი ჩვენი „განათლებული“ ჩარჩები. ამ ვაჟ-ბატონებმა გაგვაწყალეს. მაგრამ რადგან ყველას დასასრული აქვს, მგონი, ამათაც ერგოთ ჯერი... ეხლა ზოგიერთს სოფლებში ფიქრობენ: ჩარჩებს აუკრძალონ ღვინის მუშტრის წინ ძღოლა, რადგან დახმარების მაგიერ, პატრონს ღვინოს უფულებენ ხოლმე. თუ სირაჯი მოვა, თვითონ, უშუაკაცოდ, მორიგდნენ ღვინის ფასზე მყიდველი და გამყიდველიო. მგონია, ეს კარგი აზრია, თუ ასე მოიქცნენ. დაბალ ჩარჩებზე წახალისებულნი, მაღლებსაც ეწევიან.

ღვინო კახეთში იყიდება საპალნე კარგის თვისებისა 30—55 მანეთად. ხალხი ძალიან შევიწროებულია სხვა-და-სხვა მოთხოვნილებებით. ნეტავ ჯერ სახლში შეიხედონ და მერე ისე უთხრან გამოიტანეო. გადასახადზე ერთი კაცი უნდა დაერბიათ, შევიდნენ სახლში და რომ ვერა უპოვნეს რა, დაუწყეს ტანჯვა და წვალება. ბოლოს მაინც ვალში ჩააყენეს და თავიანთი შეისრულეს.

არ შემიძლიან ყველა ამ უგემურებასთან გავჩუმდე და არ მოვიხსენიო ვაჩნაძიანის საავადმყოფო, ამისთანა კეთილი დაწესებულება არა გვაბადია-რა და ესეც უკიდურეს მდგომარეობაშია. უფულობის გამო წამალი ხშირად აკლდებათ და მოსამსახურენი თავის დროზე ჯამაგირებს ვერ ღებულობენ. ეს ფული კი სოფლებისაგან მთლად აკრეფილია. ახალგაზრდა ექიმი არის ერთს წვალებაში უწამლობისაგან და ხშირად წითლდება, რომ ვერ აკმაყოფილებს უწამლობის გამო ამოდენა ხალხის მოთხოვნილებას. ხალხს კი ნუ ეტყვით, წამალი არ გვაქვსო. იმათ არ ესმით მიზეზი უწამლობისა. რადგან ფული იმათ კისრიდან წინა დღით არის, აღებული. საავადმყოფოში დღეში 60 სული და ხშირად 100 სული მიდის სარჩენად და არ ვიცი, რითი უძლებს ექიმი ამოდენა ხალხს. ფული კი სხვისა ხელშია და როცა მოისურვებს, მაშინ მისცემს თითო-ოროლა შაურს. ეს საავადმყოფო დიდს სიკეთეს გვიშვრება. სიკვდილი ისე ხშირი აღარ არის, როგორც წინად იყო. ზოგს სოფელში წინად თუ 100 სული კვდებოდა და ხშირად მეტიც, ეხლა წელიწადში 20—30-დის კვდება. ხალხმა შეიგნო ყველა ეს და კულანდებურად გადასახადზე უარს აღარ ამბობს. X.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ზ. ჯაბადარი

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 7 იანვარი 1905 წ.

ლონდონისაზე 10 გირვ. ტ.	93,10
ბერლინისაზე 100 მარკაში	—
პარიზისაზე 100 ფრანკში	—
ლონდონისაზე ჩეკები	94,80
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე „	37,72$\frac{1}{2}$
ბირჟის დისკონტი	6,7$\frac{1}{2}$%
4% სახელმწიფო რენტა	89$\frac{3}{4}$
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	—
4$\frac{1}{2}$% შინაგანი სესხი 1903 წ.	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	86$\frac{1}{8}$
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	414
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	328
5% გირ. მომ. ფურც. სახ. სა.-მამ. ბან.	270
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ.	—
4$\frac{1}{2}$% ობლ. იმავე საზოგად.	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ.	—
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	—
4$\frac{1}{2}$% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა	—
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	237

სახალხო ბიბლიოთეკები

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“

ტფილისში:

1. სასახლის ქუჩაზე, თავ.-აზნაურობის ქარვასლაში
ღია არის დილით 10—2 საათ
„ „ საღამ. 5—7 „
კვირა-უქმე—დილ. 11—1 „
2. ნაძალადევში, ვოდოპროვოდის ქუჩა, № 131.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—9 „
3. ოლგას ქუჩაზე, სახლი № 19.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—8 „

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა 15 ოქტომბრიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 მარტო სამშაბათობით) საღამოს 5 ს. 21 წ. (6 ს. 19 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 44 წ. (8 ს. 42 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 20 წ., (5 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 55 წ. (12 ს. 53 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 დილის 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 26 წ. (3 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 3 ს. 03 წ. (4 ს. 01 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.); 4 საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 38 წ. (12 ს. 36 წ.).

ბათუმიდან: 1) საფოსტო № 4 საღამოს 4 ს. 56 წ. (5 ს. 54 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 01 წ. (7 ს. 59 წ.).

ერევან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ.); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუადამევის 1 ს. 15 წ. (2 ს. 13 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 52 წ. (8 ს. 50 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.); 4) საქ.სამგზ. № 17 დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) საფოსტო № 4 დილის 4 ს. 36 წ. (5 ს. 34 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 6 ს. 05 წ. (7 ს. 03 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

1) სამგზავრო № 51 ღამის 12 ს. 05 წ. (1 ს. 03 წ.); 2) სამგზავრო № 53 დილის 8 ს. 25 წ. (9 ს. 23 წ.); 3) სამგზავრო № 55 ნაშუადღევის 2 ს. 20 წ. (3 ს. 18 წ.); 4) სამგზავრო № 57 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

საავადმყოფოები

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა. კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა, ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე პუტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯორის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამის თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.
2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

განცხადებანი

ტფილისის სამარხ კასის

გამგეობას პატივი აქვს აუწყოს თავის წევრთ, რომ დეკემბერში **გარდაიცვალა** ამავე კასის ორი წევრი: 1) **მიხეილ სიმონის-ძე ხორგალაძე** და 2) **ექვთიმე ბეჟანის ძე დავითაია,** რისთვისაც კასის ყოველმა წევრმა უნდა შემოიტანოს გამგეობის კასაში ორი კვირის განმავლობაში, **თითოზე** 1 მ. 25 კ. **სულ** 2 მ. 50 კაპ.

ვინც ორი კვირის განმავლობაში არ შემოიტანს ზემო ხსენებულს ფულს 2 მ. 50 კ., მას გადახდება ჯარიმად ზედ მეტი კიდევ ერთი მანეთი.

ფული უნდა წარადგინონ გამგეობის წევრ სოსიკო მერკვილაძესთან (ქაშვეთის ქუჩა, წიგნის მაღაზია „ცოდნა“). (3—7—3)

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათი უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვით, და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა»

კიოსკში

ლორის-მელიქის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბახნაძი.	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ბნელი, მოთხრობა—მელანიასი	—	20
ალ. ყაზბეგის I, ტომი	1	50
II და III ტომი თითო	1	—
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ	—	80
სოფლის კუნწულა, დ. მაჩხანელისა	—	10
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტ. თითო	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	20
აივენგო რომანი—ვალტერ სკოტისა	—	50
სიბრძნე ბალავარისა	—	30
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	15
ღვინის დაყენება, პროფ. გ. პეტრიაშვილისა	1	50
რძე, მისივე	1	50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—გენრიხ სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	20
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა	—	20
ფიზიოლოგია—ფოსტერისა	—	25
ეხნთი რაფფისა, თარგ. სომხურიდან ბ. ევანგულოვისა	—	1

Доз. ценз. Тифлисъ, 11 января 1905 г.

Электропеч. груз. изд. т—ва. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ამხ—ბ.